

საქართველოს  
საგარეო საზღვარი



# ქველს ქვერჩვი

1  
1987

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის  
საზოგადოება



ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ ИСТОРИИ  
И КУЛЬТУРЫ

ეროვნული  
პატივმოყვითა

GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF HISTORICAL AND  
CULTURAL MONUMENTS

შ ი ნ ბ ა რ ს ი

საინფორმაციო ცნობა	3
ჯუშუბარ პატინაშვილი — წარსული — თანამედროვეობას, თანამედროვეობა — მომავალს	7
საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდენტის ანგარიში საზოგადოების VII ურილობისაღში	29
საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების სარევიზიო კომისიის ანგარიში	27
საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VIII ურილობის რეზოლუცია	30
საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდენტი და სარევიზიო კომისია	33
ბორის ბანდუშაძე — ილია ქავჭავაძის დაბადებიდან 150 წლის საიუბილეოდ	35
მერაბ გოჭოშიძე — ზებრის ციხე	41
მარინე მარტყოფიშვილი, თეიმურაზ ჯაპანაშვილი — ბეთანიის ტაძრის აუგტიკის საკონსტრუქციო	51
ჯემალ გვირგვინი — იგოეთის სახეობის წარმოქმნისათვის	55
ანდროს ძალაშანი — „ლენკეტი“-ის ციხე უშგულში	58
გურამ ზვიზვილი, ღვთისმშობლის ბაგრატიონი, ნაჭარი შუბრაძე, ირაკლი იაკობაშვილი, თეიმურაზ ჯაპანაშვილი — ამროლენათა X საუკუნის საქტატორო წარწერები ზეზიანის მაცხოვრის ეკლესიიდან	62
მადონა შირინაშვილი, მთიანეთის მუშაობის — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შენობა ახი წლისა	67
ალექსანდრე ნარიშკინი — „რუ“ და „რუსხმული“ XVII-XVIII სს. ქართლის ეთნოგრაფიულ უფროსი	71
ამთაბერი ნაგაშვილი — უძველესი ნახაბარის რეკონსტრუქციისათვის	74
შალვა მრგვალი — დღევანდელ მოთხოვნათა დონეზე	78
სიმონ ჯაპანაშვილი — სიკეთის გაცემით	80
ანოტაციები რუსულ და ინგლისურ ენებზე	82-87

## საინფორმაციო ცნობა

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების  
VII ყრილობა

1986 წლის 20 დეკემბერს, პროფკავშირების კულტურის სასახლეში გაიმართა საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VII ყრილობა.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები: ჯ. პატიაშვილი, ვ. ალავეძე, პ. გილაშვილი, გ. ენუქიძე, ო. ჩერქეზია, ჯ. მარგველიძე, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. სირაძე, საპ. კპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჭანბერიძე, საქ. სპრ კულტურის მინისტრი ვ. ასათიანი, წართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, მეცნიერები, ლიტერატორები, მოძმე რესპუბლიკებიდან — სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, უზბეკეთიდან, ლატვიიდან. ლიტვიდან ჩამოსული სტუმრები.

ყრილობაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პროფ. ი. ციციშვილმა.

შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ბერიძე, თბილისის სახ. უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მ. ლორთქიფანიძე, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ძეგლთა დაცვის საზოგადოების აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე შ. შაკია, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ძეგლთა დაცვის საზოგადოების აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ნ. გუგუნავა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, ძეგლთა დაცვის საზოგადოების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ა. შავლობოვი, მწერალი, პროფ. ი. ბოგომოლოვი, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, თ. ჭილაძე, მოსკოვის დონის მონასტრის და ჩრდ. კავკასიის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი გ. ღამბაშიძე, საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის პირველი მდივანი, ძეგლთა დაცვის საზოგადოების კასპის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ჯ. ჭავჭავაძე.

საქ. სსრ კ. შარქიას  
საპ. სახ. ნიბაძე,  
გ. კულტურის მმართველი





ყრილობაზე მისასაღმებელი სიტყვებით გამოვიდნენ სომხეთის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდენტის თავმჯდომარე, პროფესორი ნიანი, აზერბაიჯანის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდენტის თავმჯდომარის მოადგილე გ. გასანოვი, უზბეკეთის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდენტის წევრი ბ. სურგუნოვი, ლატვიის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდენტის თავმჯდომარის მოადგილე მ. ალპინსი, ლიტვის ძეგლთა დაცვის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ი. სალიუკაიტე.

დელეგატებმა მოისმინეს და დაამტკიცეს საზოგადოების სარევიზიო კომისიის ანგარიში, რომლითაც გამოვიდა ამ კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. რობაქიძე: სამანდატო კომისიის ანგარიში გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ ვ. შამუკელაშვილმა.

ყრილობაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. პატიაშვილმა.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია. აირჩია საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ახალი შემადგენლობა, სარევიზიო კომისია.

გაიმართა საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ახლად არჩეული პრეზიდენტის პირველი სხდომა. საზოგადოების პრეზიდენტის თავმჯდომარედ არჩეულია ი. ციციშვილი, პირველ მოადგილედ ბ. ბარბაქაძე, მოადგილეებად — ბ. კაპალაშვილი, ვ. ბერიძე, ბ. ბაბაძე. საზოგადოების საბჭოს მდივანად არჩეულია მ. ბაბაძე.



## წარსული — თანამედროვეობას, თანამედროვეობა — მომავალს

საპარტოვლოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ჯ. ი. კახიანიძის სიტყვა

ამბანავებო!

დღეს ამ დარბაზში ჩვენ ვხედავთ სახელოვანი მუშათა კლასის, კომპერუნე გლეხობის, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს, პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკებს, სამეცნიეროებისა და უწყებათა ხელმძღვანელებს, ჩვენი რესპუბლიკის ღირსეულ ადამიანებს. რაოდენ სასიამოვნოა ასეთი ერთსულოვნება, ასეთი ერთიანი ძიება იმისა, უკეთ როგორ დავიცვათ და შევინარჩუნოთ ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ცხოვრების უველაზე ცოცხალი და უტყუარი შტაბანი — მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები, როგორ მივცეთ მათ ახალი სიცოცხლე, როგორ გავამდიდროთ მათი შინაარსი და ფუნქციები. უკველივე ეს იმის მტკიცე საწინდარი, რომ უფოოდ განხორციელდება დღევანდელი ურდობის გადაწყვეტილებანი.

წარსული თანამედროვეობისათვის უნდა მუშაობდეს, თანამედროვეობა — მომავალისათვის. ეს არის არსი, დიალექტიკა თაობათა კავშირის უწყვეტობისა, ერის საუკეთესო იდელების შემკვიდრობითობისა. თაობათა უწყვეტი კავშირისადმი, ზალხის საუკეთესო იდელების შემკვიდრობითობისადმი ნამდვილი ღვინაური, შემოქმედებითი მიდგომის მაგალითი მოგვცა პარტიის XXVII ურდობამ. ქვეუნის სოციალურ-დემოკრატიული განვითარების დაჩქარებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების უველა სფეროს ღრმა თვისებრივი გარდაქმნის სტრატეგია საბჭოთა ზალხის დიდ რევოლუციურ, შრომით და საბჭოლოდ გამოცდილებას ეწყობა.

გარდაქმნა-დაჩქარების ამოცანა თითოეულ ფაბრიკა-ქარხანას, სამეცნიერო, უწყებას, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციას შეეხება, რა თქმა უნდა, იგი ძველია დაცვის

საზოგადოებას, მის უველა პირველად ორგანიზაციას შეეხება. უფოოდ უნდა ჩავაუწოთ გარდაქმნა-დაჩქარების, საბჭოთა ადამიანების პარტიოტული, ინტერნაციონალური წინებრივი და ესთეტიკური აღზრდის სამსახურში ჩვენი მდიდარი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა.

მემკვიდრეობითობის უველაზე ცოცხალი გამოხატულებაა ზალხის ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლები — ჩვენი უხსდაუდებელი ეროვნული საუნჯე, წარსულის სატიკვარისა და გამარჯვებების, ფაქრისა და მრწამსის უტყუარი მტკიანე. ჩვენ არ ვპანიკოვებთ, არც თავის მოსაწინებლად და არც საამაჟოდ, მკვდარი, უსიტომსლო ისტორიის, ერის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა თანამედროვეობას, მომავალს, ჩვენი და ჩვენი მომავალი თაობების პარტიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდას, საზოგადოების წინებრივი განახლებას, სოციალური კლიმატის გაუმჯობესებას უნდა ემსახუროდეს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს უპირველესი საზრუნავი მუდამ იყო და იქნება ზალხის წარსულთან თუ საბჭოთა ქვეუნის ისტორიასთან დაკავშირებული მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორიის, რევოლუციური, საბჭოლოდ და შრომითი დიდების ძეგლების დაცვა, მოვლა-პატრონობა, შენარჩუნება და მათი ახალი შინაარსით გაცოცხლება.

ჯერ კიდევ 1918 წლის აპრილში ვ. ი. ლენინის ხელმოწერით გამოცა დეკრეტი ისტორიული ძეგლებისა და კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და პატრონობის შესახებ, „სიძველეთა უველა ძეგლი, — ხელოვნების უკველი ნაწარმოები, რომლითაც თავს იქვედენენ შეუფები — წერდა ვ. ი. ლენინი — ჩვენს საკუთრებად იქცა. ჩვენ მათ არავის მივცემთ და შევინახავთ ჩვენთვის და ჩვენი მემკვიდრეობისათვის, კაცობრიობისათვის, რომელიც მოვა ჩვენს შემდეგ

და მოისურვებს გავიოს, როგორ და რით ცხოვრობდნენ ადამიანები მანამდე“.

ამ მიმართულებით ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობს ჩვენს რესპუბლიკაში. 1959 წელს პირველად ჩვენს ქვეყანაში — საქართველოში ჩამოყალიბდა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება. 1978 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამსახური. 1981 წელს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა დებულება ამ სამსახურელოს შესახებ. ამავე წელს ჯერ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, ხოლო შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება რესპუბლიკაში ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ. გათვალისწინებულია დამატებით ღონისძიებათა შემუშავება სამეცნიერო-სარესტავრაციო და საპროექტო სამუშაოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის.

ყოველივე ამან კიდევ უფრო მკაფიოდ, სახელმწიფოებრივ წიდავზე დააყენა ჩვენში ზალბის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მოვლა-პატრონობის საქმე. განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების, დოკუმენტურ, სარჩევო და სამუზეუმო ფასეულობათა აღწერის, ფოქსაციის, აღდგენა-რესტავრაციის, დაცვის, მოპოვებისათვისა და ახალი შენაარსით გამდიდრებისათვის. სარესტავრაციოდ შეიკრა 113 ძეგლი, აღდგენილი სამუშაოები შესრულდა 97 ძეგლზე (ახანძრის ციხე, ზარზმა, გუდალეხის არქიტექტურული კომპლექსი, კუშურდო, ბებრის ციხე და სხვ.).

ძეგლთა შესწავლას, პროპაგანდას, მოვლა-პატრონობას და მათ გამოყენებას მიეძღვნა რამდენიმე ასეული დიქციონარი სამეცნიერო ხესია, ნორმ მხარეთმცოდნეთა რესპუბლიკური დაიკალიგრაფიკაციის, დაწარმოდა-ექსპონატიონი. ქართული ზალბური მხატვრული რწევის ტრადიციების შესწავლასა და წარმოებაში დანერგვის მიზნით მაღალშობიან რაიონებში მოეწყო სამეცნიერო ექსპედიციები, გამოვიდა ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი მუკლეტები („ვარძა“, „უფლისციხე“, „უჯარმა“ და სხვ.), საზოგადოების აქტიური ჩარევით დაღუპვას გადურჩა ბებრის ძეგლი.

მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, მაქმე ხალხთა კულტურის ძეგლების აღდგენაში და მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისათვის. მინდინარეობს ახალციხეში რაბათისა და მედრისის, სამშვიდღეში, თბილისსა და თელავში — სომხური ეკლესიების აღდგენითი სამუშაოები, მხატვარ ნესტორიის ფრესკების რესტავრაცია ახანთუმნის ტაძარში და სხვ. გეორგიევსკის ტრაქტატის მშ წლისთავთან დაკავშირებით დღეობ სამუშაოები ჩატარდა საქართველოს სამხედრო გზაზე.

ყოველივე ამან ზალბის დიდი სიყვარული და პატივისცემა, ნდობა და მხარდაჭერა მოუპოვა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებას. იგი დღეს ჩვენს რესპუბლიკის მშრომელთა ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი, ფართოდ განშტოებული, მოპოვარული და ავტორიტეტული ორგანიზაციაა, რომელიც როგორც ამ უყვე აღნიშნა ამ საზოგადოების თავმჯდომარემ, პროფესორმა ი. ციციშვილმა, თავის რიგებში თითქმის ერთ მილიონამდე ადამიანს აერთიანებს.

რასაკვირველია, საზოგადოების ინიციატივით, უშუალო მონაწილეობითა და თანადგომით უკანასკნელ წლებში დიდად დაწინაურდა რესპუბლიკაში ძეგლთა დაცვისა და მოვლა-პატრონობის საქმე. ამის არდანახვა არც სწორი იქნებოდა და არც სამართლიანი, მაგრამ არც ისაა დასაშალი, რომ კიდევ უფრო მეტა გასაკეთებელ-მოსაკვარებელი. ამიტომ უფრო მეტს მოვათხოვთ. უფრო მეტს მოველოთ ჩვენ საზოგადოებისაგან, ალბათ, დამეთანხმებით, ის, რაც გაკეთდა მხოლოდ დასაწყისად, მხოლოდ პირველ ნაბიჯებად უნდა მივიჩნიოთ.

ჩვენ გვახარებს, რომ საზოგადოებას, რომლის ჩამოყალიბების სათავეებთან იდგნენ ჩვენი ეროვნული კულტურის დიდი მოჭირანბულები და პროპაგანდისტები — გიორგი ჩუბინაშვილი, ბუქან ლორთქიფანიძე, ლევან გოთუა, ნიკო კეცხოველი, ღონინოზ ხუშმაძე, გიორგი ჩიტია და სხვები, დღესაც მხარში უდგანან და მის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ ქართული კულტურის მომაკვნი, სახელმძღვთილი მეცნიერები, რესტავრატორები, ზელოვნებათმცოდნეები, ლიტერატურისა და ზელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები, სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები.

ახლა ამოცანა ისაა, აქტიურად გამოვეყენოთ ეს დიდი ძალა ზალბის განსწავლულობის, მისი კულტურული ღონის ამაღლებებისათვის, მაღალმორალურ, ზნეობრივ და ესთეტიკურ იდეალბ-



ზე აღზრდისათვის, უფრო მიზანსწრაფული და თანმიმდევრული ხასიათი მივიანიქით მთელს ამ მუშაობას.

სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს იგრძნობა საზოგადოების აქტიურობის, მისი მოქალაქეობრივი პათოსის ერთგვარი დაქვეითება. იგი თანდათან კარგავს თავის ფუნქციებსა და დანიშნულებას, ხდება ძველების დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამართველოს ერთგვარი დამხმარე, ხელშემწყობი ორგანო. საზოგადოებას იშვიათად გამოაქვს საერთო-სახალხო სამსჯავრობო მომწოდებელი მასშტაბური საკითხები. ასეთი საკითხები კი საქმოდ დაგვიკრავდა. იგრძნობა ფორმულიზმისა და უნაყოფო ქალღმერთხვეულობის ელემენტები.

გააქტიურებას მოითხოვს საზოგადოების, მისი პირველადი ორგანიზაციების კონტაქტები ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტთან, მუზეუმებთან, უმაღლესი სასწავლებლების კათედრებთან, მწერლებთან, მხატვრებთან, ხელოვნებისა და კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებთან. ამ კონტაქტებს ხშირად აკლიათ ხიდრწე, საკითხებისადმი კომპეტენტური მიდგომა, მასშტაბურობა, თანმიმდევრულობა და უმეტესად წერტილმანი დონისძიებებითა და ხალკეიო პროპაგანდისტული მუშაობით შემოიფარგლება, რაც, რასაკვირველია, არასაკმარისია.

სრულად სამართლიანია პროფესორ მ. ლიბოტიფანისის მოსაზრება იმის შესახებ, რომ არ არის საჭირო და არცაა გამართლებული უკუაღ ძველის პირვანდელი სახაო სრულად აღდგენა. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, არც გვაქვს ჩვენ საამისო საშუალებები, არც არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იძლევა ამის შესაძლებლობას. ამიტომ მკაცრად უნდა დაეცივათ სარესტავრაციო ძველების რეკონსტრუქციისათვის, რათა ასევე დროულად აღუდგინოთ აღსადგენი ძველები. შეუძლებელია და არცაა საჭირო ზოგიერთი ძველის ისეთი სახით აღდგენა, როგორც ამას ამა თუ იმ პროექტის ავტორი გვთავაზობს, აქ შეტი დაფიქრება, სპეციალისტთა ფართო წრის მოსაზრებათა უფრო გულდასმით გათვალისწინება გვმართებს.

მეტად უნდა ვიზრუნოთ იმაზეც, რომ უფრო სისტემატიკური და თანმიმდევრული ხასიათი მივიყო მუშაობას ძველების აღდგენა-რესტავრაციისათვის. საზოგადოების ფართო მონაწილეობით უნდა განისაზღვრებოდეს პირველი რიგის ობი-

ექტები. სამუშაო უწინარეს უყოლია, ამ ძველებზე უნდა ტარდებოდეს, რომელიც აღდგენა-რესტავრაცია მომავალში შეუძლებელი იქნება უფრო გეგმავლობითად და უპირობოდ უნდა გამოიყენოს საზოგადოების შესაძლებლობანი, უზრუნველყოთ სახსრებისა და ძალების კონცენტრაცია, არაერთი არ არის გამოთვლებული ეს ფაქტი, რომ საქართველოში ამდამად წლის განმავლობაში სარესტავრაციო სამუშაოები საშუალოდ 130 ძველზე ხორციელდება. საშუალო სახარტავალიცხო ღირებულება ერთ ობიექტზე გაანგარიშებით კი 110 ათას მანეთს არ აღემატება, ხოლო რესტავრაციის ხანგრძლივობა 4 წელს უდრის. ერთი ძველის აღდგენაზე ჩვენში საშუალოდ ათი კაცია დასაქმებული.

სამუშაო ძალებისა და სახსრების მრავალ ობიექტზე დაქსაქვის შედეგია, ის, რომ ბევრი ძველის რესტავრაცია წლების განმავლობაში ჰიანურდება. მაგალითად, თბილისის ათ წელიწადს გრძელდებოდა ზარზის ეკლესიის რესტავრაცია. აღდგენა არ დაწყებულა ბოკრომის არქიტექტურული კომპლექსის სარესტავრაციო სამუშაოები, თუმცა მისი პროექტი ენთუზიასტებმა დღეი ხნის წინათ უსასყიდლოდ შეასრულეს. უკვე იოქვა გულისტკივილით, რომ აქამდე ვერ მოხერხდა გელათის უნიკალური მონუმენტის აღდგენა.

განსაკუთრებით მწვავედ დგას სარესტავრაციო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესების ამოცანა. ბევრი ძველი აღდგენილად ითვლება, თუმცა სპორექტო და სამშენებლო სამუშაოთა უზარისხოდ შესრულების გამო ისინი კვლავ კატასტროფულ მდგომარეობაშია და სასწრაფოდ აღსადგენია. მაგალითად, ბოლნისის სიონში ისევ ჩამოღის წვიმა, შესაკეთებელია აჭარის თაღვანი ზიებები და სხვა ძველები.

ყოველ ასეთ ფაქტს სათანადო შეფასება უნდა მიეცეს, მკაცრად მოეციხოთ საზინსტროგება და უწყებებსაეც, პროექტის ავტორებსაეც და მშენებლებსაეც პარტიულ და სამეურნეო ზღმამდუნელებსაეც ადგილებზეც და ცენტრშიც. დაუშვებელია ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძველების რესტავრაციისადმი ასეთი გულგრილი დამოკიდებულება. რა თქმა უნდა, ამაში მეტი პრინციპულობა უნდა გამოიჩინოს თვით საზოგადოებამ, ხმადალა უნდა თქვას მინთავისი ავტორიტეტული სიტყვა. ყოველივე ამას იმიტომ ვამბობთ, იმიტომ გავხსენებთ ეს ფაქტები, რათა უფრო გეგმავლობითი და მდგრადი გახდეს საქართველო, უზარისხო მუშაობა სათანადო



შედგეს ვერ მოგვიტანს. დასახული გეგმები, პროგრამები ქალაქში კი შესრულდება, მაგრამ მთავარი არ იქნება მიღწეული — კვლავ მოგვიტანება მათ-მართა ადგილი ძველების რეტეპრაცია.

ქართული ხალხს მრავლად აქვს თავისი მატერიალური და სულიერი კულტურის ძველები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც — ჩვენს ქვეყანაშიც და უცხოეთშიც. აქ სახეებით სწორად აღინიშნა გ. ლამბაშიძემ, რომ საზოგადოების თვალსაზრისით არაა უნდა იყოს თითოეული მათგანი, საზოგადოება უნდა კვირავდეს მათ ქართველი კაცის ნამაგარს უვლადან — ჩვენშიც და უცხოეთშიც.

სამწუხაროდ, ჭრს კიდევ საკმარის მუშაობას არ ვაწევი ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკებში არსებული ქართველი ხალხის მდიდარი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის, შენარჩუნებისა და მოვლა-პატრონობისათვის. რაც შეეხება უცხოეთში მიმდინეულ ქართული კულტურის კერებს, ისინი ფაქტობრივად მოკლებულია საზოგადოების მხრუნველობას. ნაკლებად გამოიყენება, ან საერთოდ არ გამოიყენება მათი შესწავლის, ფიქსაციისა და კონსერვაციისათვის საზღვარგარეთის ქართველოლოგიურ ცენტრებთან, საქართველოს ისტორიისა და კულტურის დანატრეხებულ უცხოელ მეცნიერებთან, სხვა გამოჩენილ ადამიანებთან კონტაქტები.

სწორედ ამის შედეგია ის, რომ დღემდე აღურიცხავია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მდებარე ძეგლები.

ვაშედოვნებთ, საზოგადოება მჭიდროდ ითანამშრომლებს კულტურის სამსახურს ფონდთან, მის რესპუბლიკურ და სხვა რეგიონალურ რგოლებთან ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, განსაკუთრებით უცხოეთში არსებული ქართული კულტურის ძეგლებზე კონტროლის დაწესებისათვის, იქ დაცული ლიტერატურისა და ბელოვნების ნიმუშების, არქივებისა და სხვა დაწესებულებებში ქართული კულტურის ფასეულობათა გამოვლენის, აღრიცხვისა და სამშობლოში დაბრუნებისათვის.

სერიოზულ საყვედურს იწვევს ისიც რომ, რესტავრაციის დამთავრების შემდეგ საზოგადოება ნაკლებად ინტერესდება მისივე ხაზრებით აღდგენილი ძეგლის შემდგომი ბედი-იღბლით, იგი თითქმის ქრება მისი თვალსაწიერიდან. ჩვენი აზრით, რესტავრაციამდე და რესტავრაციის შემდგომაც საზოგადოება უნდა იყოს ძეგლის მხრუნველი ბატონ-პატრონი. იგი უნდა განსაზღვრავდეს მშრომელთა ფართო მი-

წარწევებით აღდგენილი ძეგლის ახალ დანერგვას, ფუნქციას, მაკრად მოკვლავდეს კვლავ წარმოება-დაწესებულებებს, რომლებიც, მრავლად, უსულავლოდ გაიღებინა რესტავრატორთა ურთულესი შრომის შედეგებს.

გარდაქმნა, უწინარეს უკვლისა, საქმისადმი ახლებური მიდგომის გულისხმობის, ალბათ, საქირთა ძეგლების რესტავრაციის დარგშიც ვიფიქროთ მუშაობის ახლებური ფორმების დანერგვაზე. ჩვენი აზრით, სარესტავრაციო სამუშაოების დადების შემკვიდრავებსა და ხელისხმობის ახლებების უფლოდ შეუწყობდა ხელს სპეციალური ჩარაზე გადასვლა, სეზონის ნაცვლად, სამუშაოების მთელი წლის მანძილზე ჩატარება.

ურიგო არ იქნებოდა, აგრეთვე, საზოგადოებასთან ჩამოყალიბებული მარტრონა უბანი, ან სახელმწიფო, რომელიც სპეციალური მოვლამის ოპერატიულ სამუშაოებს შეასრულებდა. მსგავსი გამოცდილება აქვს რუსეთის ძეგლთა დაცვის საზოგადოებას, სადაც დიდი ხნის წინათ შექმნა ასეთი სახელმწიფო.

— საზოგადოების უფრადლების გარეშე არ უნდა რჩებოდეს არც ერთი საქობი, რომელიც ჩვენი მატერიალური თუ სულიერი კულტურის ძეგლებს შეეხება. მაგალითად, ახლა რესპუბლიკაში უკვლის აწუხებს ტრანსპეკაციის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩვენი არქეოლოგიური, ისტორიულ-კულტურული თუ ბუნების ძეგლების დაცვა-შენარჩუნების პრობლემა. ეს კარგად იგრძნობოდა ყრილობის დელეგატების გამოსვლებშიც. ცხადია, წარსულში, ბუნებისთან შეხების გარეშე შეტად ძნელი იქნება ასეთი დიდი ნაგებობის, ასეთი გრანდიოზული მშენებლობის განხორციელება. ეს იმიტომაც ვაჩვენებთ, რომ მშენებლებს შეტად მძიმე პირობებში, შეტად რთულ პირობებში მოუწევთ მუშაობა.

უკვლავაც ეს დიდ და საპასუხისმგებლო ამოცანებს აყენებს საზოგადოების წინაშე. საქირთა უკვლავმხრავ შევისწავლოთ ეს მხარე, რომელიც მდიდარია უნიკალური ისტორიული ძეგლებით. უკვლავაფერი უნდა ვიკონოთ იმისათვის, რათა სრულად შევინარჩუნოთ მისი კულტურული მემკვიდრეობა, ისტორიულად ჩამოყალიბებული, ღანდამუტთან შერწყმული ისტორიის, კულტურისა და ბუნების შესანიშნავი ძეგლები.

ამ მხრაც დიდად უნდა გაიხარკოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა სამსახურის საგანგებო დაწესებულებათა შექმნილი კომისია. მან სპეციალისტების, ფართო საზოგადოებრიობის აქ-



ტიური მონაწილეობით კოორდინაცია უნდა გაუწიოს მთელ ამ მუშაობას, რომელიც უნდა განხორციელდეს როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ მშენებარე მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ძველების შესასწავლად. აღწერა-ფიქსაციისა და დაუზიანებელი სახით შენარჩუნებისათვის. მაქსიმალური ეფექტიანობით უნდა გამოვიყენოთ ეველა ის საშუალება და სახსრები, რომლებიც გამოუყოფილია ამ მიზნით და, რაც მთავარია, ამ მუშაობას არ უნდა ჰქონდეს ერთგვარი, კამპანური ხასიათი. დადებითი გადაწყვეტა უნდა ჰქონდეს ეველა ამ საკითხში, რომელიც ამ მაგისტრალის მშენებლობის პროცესში წამოიჭრება. ასეთივე მზრუნველ დამოკიდებულებასა და გაფრთხილებას მოითხოვს სხევი და მისი შემოგარენი, სოფელი ჭერემი. საქართველოს ბევრი სხვა კუთხე და დასახლებული პუნქტი, ამის შესახებაც სავსებით სწორად ითქვამს დღეს ურილობაზე.

უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის საქმეა ქალაქმშენებლობითი თვალსაზრისით უნიკალური კულტურული ცენტრების (თბილისი, მცხეთა, თელავი, სიღნაღი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, სოხუმი, გორი, ახალციხე, ქალაქი-ჯორჯთბილი; გურია, ბორჯომი და ა. შ.) ისტორიულად ჩამოყალიბებული იერ ხაზის მათი განუმეორებელი კოლორიტის შენარჩუნება. ქალაქების რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის სოციალური გარემოს გაქანალების ურთულესი გლობალური საკითხების გადაწყვეტილებას უფოოდ უნდა ვუახსოვდეს, რომ ჩვენი თანამედროვე მშოლოდ მაშინ მოგვიწოდებს მშობლიური ქალაქის განახლებისათვის გაწეულ მუშაობას თუკი ურველმზრავ იქნება გათვალისწინებული ტანკამბ მემკვიდრეობითობა, პარმონიულად შენარჩუნება მრთმანეთის წარსული და ტანამბლ-არმამობა, არ ღიარდვევა მხატვრულად და მხატვრიულად ღირებულნი, ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანება, ამორტინირებული შენახა-ნაგებობათა შეცვლისას არ გვოდლატებს ტაქტი და ზომიერება, შენარჩუნებულ იქნება ქალაქის არქიტექტურული სახე, განუმეორებელი სილუეტები, ქუჩების, უბნების მოედების ძირითადი გეგმარებითი სტრუქტურა. ჩვენს ქალაქებს, მათ განუმეორებელ სახეს არა ერთი და იგი თანაობა არა ერთი და იგი საუყუნის განმავლობაში ქმნიდა. ამიტომ არ შეიძლება ერთ ან ირ კაცს, გარკვეულ ჭკუფს, თუნდაც ერთ უველაზე ავტორიტეტულ დაწესებულებას შეინადოთ მათი რეკონსტრუქცია-რეგენერაციის საკითხების გადაწყვეტა. ამ საქმეში

მთელ ჩვენს საზოგადოებრიობასთან ერთად, უველაზე მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდეს ძველთა დაცვის საზოგადოება, ძველთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო საწარმოო სამმართველო, სახმუნნი, რომელიც, სამწუხაროდ, წაყლებ უწარადლებას აქციეს ამ საკითხებს. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, მასთან არსებული რესპუბლიკური არქეოლოგიური ცენტრი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, თბილისის სახმატვრო აკადემია, და რასაკვირველია, მთლიანად რესპუბლიკისა და ქალაქის საზოგადოებრიობა, ვისთვისაც ძვირფასია თავისი ერის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა.

ბევრი კეთილი სიტუკი თქმულა ამ შოლოდოს ძველი თბილისის აღდგენა-განახლების მიზნით ჩატარებულ სამუშაოთა არქიტექტურულ-მხატვრულ ღირსებებზე. ამ შაალი მუფახების გამოხატულება ისიცაა, რომ იგი უწადგენილია სახელმწიფო პრემიაზე. მაგრამ შევებამ არ უნდა შეუქმნას ამ საქმის თავკაცებს თვითდაქრებულობისა და შემოქმედებითი უსოდველობის გრძნობა.

პარტული პრპიტმტპრბს ეს, უწინარეს ურველისა, ბალხური პრპიტმტპრბს, ბალხური მემკმამედებაა, ხალხის სულისა და მრწამსის გამოხატულებაა. ამიტომაც საჭირო რეკონსტრუქცია-რეგენერაციასთან დაკავშირებულ თუნდაც უველაზე უწინაშენილო საკითხების გადაწყვეტილის აქტორად მოვწოდოთ საზოგადოებრიობა, ურველმზრავ გავითვალისწინოთ მათი შრი, გამოვჭენოთ შემოქმედებით პროცესში მოსახლეობის ფართო მონაწილეობის ეფექტიანი ფორმები, არ შეიძლება მშრომელი აქტიური მონაწილეობითაც პასიურ მონხმარებლებად, უბრალო შეთვალურებებად გადავაქციოთ.

დღეს უადრესად გაუართოვდა თვით ცნების — „ძველი“ — შინაარსი, უველაფერი რაც ხალხს შეუქმნია, ხალხის ისტორიის, მისი კულტურის, მისი მრწამსისა და მშოფლმხედველობის მატერიალური გამოხატულებაა, მშოლოდ და მშოლოდ მისი კუთვნილებაა. სხამლმწინმრთიკავს ჩანენი კულტურული მემკვიდრეობის უპილზ მონანკრპარს მონუმენტური ნაგებობებიდან დაწეებული ეისტკლარული მემკვიდრეობით დამთავრებული. ეროვნული მემკვიდრეობის თითოეული ნიმუში საოუთ მოპერობას მოითხოვს. არავის არა აქვს უფლება შეზღალოს მისი პირველსახე, პირიქით, ჩვენი კოდნა, შაღალი პროფესიონალიზმი, სოცარული წარსული-სადმი უნდა მოვიმარკვოთ იმისათვის, რათა



ძველი გავათავისუფლოთ მისთვის უცხო, ისტორიის მანძილზე დამატებული უცხო შრეებისაგან. უკვლა ვისაც კი რაიმე კავშირი აქვს ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობასთან, ვალდებულია აწვარაწი გაუწიოს ამ გარემოებას. სამწუხაროდ, ქალაქმშენებლობის თუ არქიტექტურის, ლიტერატურისა თუ მუსიკის სფეროში ჭრად კიდევ უხვდებით ამ უაღრესად პრინციპული მოთხოვნის უგულვებელყოფის შემთხვევებს, რასაც საზოგადოებრიობამ, შემოქმედებითმა კავშირებმა, ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია ერის კულტურა, პრინციპული ბრძოლა უნდა გამოუცხადოს. აქ უკველგვარი კომპრომისი დალატს ნიშნავს. საეცხეთი სწორად შენიშნა ეს ჩვენს ურალობაზე თ. კილაძემაც.

ჩვენ არ გვინდა ამა თუ იმ სახალხო დღესასწაულისათვის სახელდახელოდ შექმნილი, გარეგნულად ბრწყინვალე ბუტაფორიები, რომელ პატრიოტიზმზე და მამულეშვილურ გარჯაზე შეიძლება ღმარაქი, თუკი „თბილისის“ დღესასწაულისათვის ისევ აღზადგენი და შესაყობებული ზღვბა რესტავირებული თუ რვევნირბული ქუჩები და ნაგებობები, როცა ძველი თბილისის რეკონსტრუქციის ნაშენებია უცხო ერის, ე. წ. თანამედროვე ნაგებობები და ქუჩები. ვანა დასაშვებია, რომ ფართოდ რეკლამირებულ ე. წ. სარკონსტრუქციის სამუშაოთა ჩატარების შედეგად ძველ თბილისს თითქმის არ შემატებია არც ერთი ისეთი ბინა, ქუჩა, უბანი თუ ყვარტალი, სადაც დასუღია რკონსტრუქციარეგენერაციის უპირველესი მოახზვნა — შენარჩუნებულია ისტორიულად ჩამოყალიბებული მხატვრული საზე და გაქანაღებულია მოსახლეობის საცხოვრებელი პარამები.

საქართველოს სახმშენმა, ძველთა დაცვისა და გამოყენების მთავარმა სამმართველომ, თბილისის საქალკო საბჭოს აღმასკომმა, სხვა დაინტერესებულმა უწყებებმა უნდა დაანქარონ დედაქალაქის ცენტრისა და ძველი ქალაქის დაგეგმარების ხაროვეტო სამუშაოები, რაც მიუტყვებლად ქანარღებმა. ამის გარეშე შეუძლებელი იქნება ქალაქის განვითარების გენერალური გეგმის რეალზაცია. ამის თაობაზე შარშანდ გვირნდა საუბარი სსრ კავშირის სახმშენისა და საქართველოს სახმშენის კოლეგების გაერთიანებულ სხდომაზე, მაგრამ საქმეს სასიკეთო პირი ჭრად კიდევ არ უჩანს. უნდა აღკვეთოს თვითნებობის, აღრე მიღებულ დადგენილებათა და გადაწყვეტილებათა იგნორირების შემთხვევები, ყოველი ასეთი ფაქტი მკაცრი პარტიული შეფასებისა და საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ისტორიული ნაწილის დასაცავად შექმნილია სხვადასხვა პეკცია, სულ ახლახან დაანგრინე შახაბლის, ივერის, თუშანიანის, გერცენის, დუშეთის, ჩალაუანის ქუჩებზე არქიტექტურული და ისტორიული ღირებულების მქონე შენობანაგებობანი, მდიციანის მუშკათა სახლის მშენებლობას შეეწირა XIX-XX საუკუნეების ხუროთმოძღვრების სანტარესო ნიშნუი — ზეაგუროვის ქუჩაზე მდებარე სახლი.

ისე ზომ არ გამოდის, ერთი ხელით ვაწადებთ დადგენილებებს, მეორეთი კი ვანგრევეთ ისტორიულ შენობებს.

ისტორიულ-არქიტექტურული ძველებით, რომელთა ხერთო რიცხვი 20 ათასს აღემატება, მდიდარია ჩვენი რესპუბლიკა, თითოეული ქალაქი, რაიონი, სოფელი. ადგილობრივი ძალეებით, მშრომელთა ინიციატივითა და მცდელობით ბევრი ძველი იქნა რესტავირებული, გაუქარნია მათგან მისაკვლელო გზები, კეთილმოეწყო მიშებარე ტერატორია. ქუთაისში თითქმის მთელი ქალაქის მოსახლეობა მონაწილეობდა ფართო მასშტაბის არქეოლოგიურ და სარესტავრაციო სამუშაოებში. იგივე ითქმის კასპის, წალენჯიხის, სავარქოს, და ზოგიერთ სხვა რეგიონზე, საშწუხაროდ, უკვლა რომ ერთკვთა კარგად მატრიალური და სულიერი კულტურის ძველების დანიშნულებაში. მათ აღდგენა-შენარჩუნებზე ზრუნვა მეორეხარისხოვან საქმედ მიანათ. იქ, სადაც ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა კომკავშირული ორგანოები ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისაგან გულგრად დაპოედებულებას იჩენენ, არ ინტერესდებიან ძველთა დაცვის საზოგადოების, სხვა იდეოლოგიური დაწესებულებების მუშაობით, მოსახლეობის მონაწილეობა ქართული კულტურის ძველთა მოვლანპარტონობაში მხოლოდ საწევროს გადახდით შემოიფარგლება, თუმცა სრულყოფილად ყველგან ეხეც ამ ზერხდება. ზოგჯერ, ადგილობრივი ორგანოების გულგრალობით, უმატრონოდ მიტოვებული ძველები უსაქმურთა თავყრილობის ადგილად აქცევა. ამით თითქოს უსიტყვო სანქცია გაიყემა მათი დაწანებისა და განადგურებისათვის. რამდენიმე ხნის წინათ დაუდგენელმა პირებმა სოფელ შინდისში ცეცხლი გაუჩინეს XVIII საუკუნის ნაგებობას — ნიკოლოზ ბართაშვილის მამისეულ სახალეს, სადაც განჩარბული იყო ამ დიდი პოეტის მუწუემის ფილიალის გახსნა. ისტორიული ძველებისა და სხვა კულტურულ მემკვიდრეობათა შენარჩუნებისათვის ზრუნვა სსრ კავშირის მოქალაქეთა ვალი და მოვალეობაა, — აღნიშ-



წელი სსრ კავშირის კონსტიტუციის 45-ე მუხლში. სწორედ ამ კონსტიტუციურ მოთხოვნას ემყარება კანონი ძველების დაცვის შესახებ.

ყოველივე ეს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოებისაგან, უწინარეს უოვლისა, სამართალდამცველი ორგანოებისაგან მოითხოვს მკაცრი პარტიული და ადმინისტრაციული რეგულირების გარეშე არ დატოვოს ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის ძველების ზღუდვის არც ერთი ფაქტი. უთუოდ უნდა გამოვავლინოთ და მკაცრად დავსაჯოთ ისინი, ვინც შეამოწმებლობს უპარტახს ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას.

ამ ბოლო დროს რესპუბლიკის ზოგიერთ რეგიონში ერთმა დამაყოქრებელმა უცხო ვაჭარმა მამაც იწინა თავი. ფართოდ გაიდა ფეხი ახალი ფსევდოისტორიული ძველების მშენებლობის პრაქტიკაში. ჩვენი არქიტექტორებისა და მხატვრების ხელშეწყობით, ზოგიერთი ხელმძღვანელი რაღაც ახალ „ძველებურ“ კოშკებს, რაღაც ახალ ფსევდოისტორიულ ნაგებობებს აშენებს. ვის სჭირდება პატრიოტული გრძნობების ასეთი ხელშეწყობა, იაფუასიანი საშუალებებით გაღვივება? განა ძნელია იმის გაგება, რომ არ შეიძლება სეანური კოშკის (უფრო სწორად, მისი იმიტაციის). ანდა კიდევ სხვადასხვაინარი ფაქტის სხვადასხვა რაიონში მშენებლობა, თბილისური აივნების XIX საუკუნის ქუთაისისათვის დამახასიათებელ საცხოვრებელ სახლებზე მიშენება. განა ძნელია იმის გაგება, რომ უოველივე ეს ძველია დაცვისა და პროპაგანდის კეთილმოიღობის იდეის გუალებობა? საწუხარო ისაა, რომ იმაში იხარჩება დიდი ხანსრები, იფლანგება დრო და ენერგია, მიზანი კი მოუღწეველი რჩება.

მოელი საზოგადოებრიობა ხედავს რაოდენ დიდ და საწვილწვილო საქმეს აკეთებს ძველია დაცვისა და გამოუენების მოთავარი სამმართველო, რომელსაც წლების განმავლობაში უნარიანად უძღვება ჩვენი სახელოვანი მოქალაქე, უფელასათვის საუერელი ადამიანი, საბჭოთა კავშირის გმირი, პროფსორი ი. ციციშვილი. შეიძლება ითქვას, რომ სამმართველოს სახით ჩვენი ხალხის ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას დღეს ჰყავს დიდი მოამაგე და კირის უაალი. ძველია დაცვისა და აღდენის საქმე დაუენებელია სწორ სახელმწიფოებრივ დონეზე. ახლა უკვე არავის ეპარება ევეი იმაში, რომ დრომ გამართლია არსებობა ასეთი ორგანიზაციისა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში პირველად საქართველოში შეიქმნა. მოთავარი ისაა, რომ ამით შესაძლებელი გახდა სახელმწიფო და საზოგა-

დოებრივი ორგანიზაციების ძალისხმევის უფრო მკიდროდ გაერთიანება, ინტეგრაცია, აღმოაფხვრება, უკეთ წარმოიჩინოს ასეთი მნიშვნელოვანი გორც დადებით, ისე უარყოფით მხარეს. ერთი კი ფაქტია — ასეთი ორგანიზაციის შექმნით ძველების აღდგენა, მათი მოვლა-მკურნალობა როგორც სპეციალური სახელმწიფო ორგანოს, ისე ფართო საზოგადოებრიობის ზრუნვის საგანი გახდა. ამის შესახებ კარგად იცის ჩვენმა საზოგადოებრიობამ. ამიტომ ვუფერბობთ, არ უნდა იყოს საქირაო გაყეთებულ საქმეებზე დაწეროლებით საუბარი. უკეთესი იქნება უფრო მეტი უურადლება სამომავლო ამოცანებს დავუთმოთ.

უწინარეს უოვლისა, უფრო გვემარაოებრივ, სისტემური ხასიათი უნდა მიეცეს სამმართველოს საქმიანობა. შესაბამის საშეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწეებთან, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან მკიდრო თანამშრომლობით უნდა შეუშუაყდეს ისტორიის, კულტურის და ბუნების ძველების, მატერიალური და სულიერი კულტურის სხვა სხეულობათა აღწერის, მასპორტიზაციის, რესტავრაციისა და გამოყენების პერსპექტივისათვის გათვალისწინებული გრძელვადიანი პროგრამა. ეს ხელს შეუწყობს მუშაობაში სტიკიურობის, შემიზღვეოების ელემენტების დამღვებას. ასეთი ფაქტები კი, სამწუხაროდ ქერქერობით საქმოდ გვაქვს. 20 ათასზე მეტი ძველიდან დღემდე არ არის მასპორტიზებული 2300 ძველი. უფრო მეტიც, მოუგადებელია ასეთი რესტავრირებული ძველების აღრიცხვის საქმეც.

სამმართველოს მართებს გააძლიეროს სახელმწიფოებრივი კონტროლი და მომთხოვნელობა ქალაქმშენებლობითი ხასიათის ძველების ზელ-უოფისათვის, — რესტავრაციის ჩატარებისას მათი პირვადელი ხახის დამახინჩებისათვის. იგი უფრო მეტად უნდა ზრუნავდეს ძველების რესტავრაციისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ხახსრების რაციონალურად და სრულად გამოუენებაზე. საქირაა ამ საქმეში დამიერდეს მკაცრი სახელმწიფო დისციპლინა. უპანასკნელ სამ წელიწადში სამმართველოს 214 ათასი მანეთის სახელმწიფო კაპიტალური დანდებმა გამოუყო, მაგრამ ამ თანხის მხოლოდ 77 პროცენტი იქნა ათვისებული, ხოლო, მთლიანად მეთეუ ზეოწლებში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის გამოყოფილი ხახსრების ათვისების მაჩვენებელი 29 პროცენტს არ აღეზატებოდა. შეშუოთებას იწვევს ის, რომ ეს მაჩვენებელი უკანასკნელ წლებში არათუ არ უმჭობნდება, არამედ უარესდება კიდევ.





რესპუბლიკაში იგრძნობა რესტრუქტურითა კვალიფიკაციური კადრების ნაკლებობა. ამის თაობაზე დღეს უკვე ითქვა ურილობაზე მართალია, ერთ-ერთ პროფტექნიკურ სასწავლებელში სპეციალურად აშკარდებენ ახალგაზრდა რესტრუქტორებს, მაგრამ მათ შორის ცოცხა ხალხურ ბელადობას დაუფლებული ქვისმთლილები, კალატორები, დურგლები, შვედლები და სხვ. არ ამაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს სამხატვრო აკადემიის შესაბამისი სპეციალისტების კურსდამთავრებულთა პროფესიული მომზადების დონე. უკველადე ამაზე აკადემიის, შესაბამისი პროფესიულ ტექნიკური სასწავლებლის ხელმძღვანელობასთან ერთად, უნდა ვიფიქროთ ჩვენც და, რასაკვირველია, სამმართველომაც და თვალმა საზოგადოებრიობამაც.

ფართოდ უნდა დაიჭრავს, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ჩვენი ქვეყნის ცნობილი ცენტრებში, აგრეთვე საზღვარგარეთ სპეციალისტთა მივლინება-სტაჟირების პრაქტიკა. ეს საკითხი აქ სავსებით სწორად დაეუბნა აკადემიკოსმა ვ. ბურბაქემ, ამ მიზნით, აღბათ, საჭირო იქნება შექმნათ რესტრუქტურითა სპეციალური გზაუბრი, მოვაგვაროთ საზღვარგარეთ მათი მივლენების საკითხი, ეს საშუალებას მისცემს ჩვენს რესტრუქტორებს გაეცნონ თავიანთ უცხოელ კოლეგებს, დაეუფლონ მათ გამოცდილებას, მსოფლიოში მოწინავე ტექნოლოგიას.

მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების რესტრუქტურაზე დასაქმებული მშრომელები დიდ საშეღავნებელი საქმის აკეთებენ. ასეთი გარკა კი შესაბამის მატერიალური და მორალური სტიმულირებას მოითხოვს. ვადასახედა სხვა მრავალი საკითხიც. მაგალითად, რითაა გამართლებული, რომ ჩვეულებრივ მშენებლობაზე მომუშავე ქვისმთლილის საენისო ასაკი ნაწილით განისაზღვრება, სარესტრუქტურა ადგილზე სამუშაოებზე დასაქმებულისა კი — ნიწლით. ჩვენი აზრით, ეს პირიქით უნდა იყოს. თუკი ნამდვილად გვინდა ამ დარგის წინა პლანზე წამოწევა, უკეთესად, მტვი ოდენობით შრომას სწორად ძეგლების აღდგენა-რესტრუქტურაზე მომუშავე აღმანებს უნდა ვუნაზღაურებდეთ.

საქორთა უფრო ფართოდ გამოვიყენოთ მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების დაცვისა და რესტრუქტურის საქმეში საზოგადოებრივი ინიციატივა, საზოგადოებრივი ენერჯია. რა თქმა უნდა, აქ სრულიად უნდა გამოირიცხოს რაიმე შემთხვევითობა, სუბიექტივიზმი, წარმატების თავი და თავი მხოლოდ ენთუზიაზმი როდია. დაუშვებელია უკონტროლოდ მი-

ვანდით ეს დიდი ეროვნული საქმე ყველა მსურველს, დელტანტს, საქმის არმსურველს მიანებს, ამან შეიძლება აუნაზღაურებელი შედეგები მოგვცინოს.

მუშაობა სისტემურ საფუძველზე უნდა დავამყაროთ. ეს კი ძველია დაცვის საზოგადოების, სამეცნიერო-საწარმოო სამმართველის უპირველესი მოვალეობაა. ვინა არ შეიძლება უფრო აქტიურად და ფართოდ მოვაზიდოთ ძეგლების რესტრუქტურისა და აღდგენის საქმეში შემოქმედებითი ინტელიგენციის გამოჩენილი წარმომადგენლები, მხატვრები, არქიტექტორები, სხვა დარგის სპეციალისტები. ეს ხომ თითოეული ჩვენთაგანის მოქალაქეობრივი, კეთილშობილური და საპატიო მოვალეობაა.

ჩვენნი წარსულის, თანამედროვეობის და მომავლის უწინარეს ყოვლისა მომხმარებელი — ახალგაზრდობის ექსპრესია. ამიტომაც უნდა ვიღავნოთ უფრო აქტიურად ყველამ — საზოგადოებამაც და სამეცნიერო-საწარმოო სამმართველომაც, პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზებამაც — იმისათვის, რომ ჩვენი ახალგაზრდობა უფრო მეტი სიყვარულით განამსკვალოს ძეგლებისადმი, გამოუმუშავდეს ჩვენს საბელადო წინაპართა სხვისისა და ნაღვაწისადმი ღრმა პატივისცემის გრძობა, უფრო აზლოს მივიდეს ჩვენს ისტორიულ წარსულთან, შეიგნოს მისი არსი, მისი მნიშვნელობა თანამედროვეობისა და მომავლისათვის, ეს განუვითარებს მათ ქვეშაობრივ ეროვნული სამაყის გრძობასაც, რომლისთვისაც უცხოა ნაციონალიზმი, ვაწრო კარნაკეობა და ეთნობრობა.

ჩვენ ვვანაზრებს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, სამედიცინო და სხვა ინსტიტუტების სტუდენტები, პროფესორულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები გულმოდგინედ მუშაობენ ძეგლების აღდგენაზე. მაგრამ დღეს არც ეს არის საკმარისი. კიდევ უფრო მეტად უნდა წავახალისოთ ახალგაზრდობის ენთუზიაზმი, შევქმნათ მათ ადგილზე ნორმალური შრომისა და დახვეწების პირობები, აქტიურად დავეუკავშოროთ იგი შრომითი, სამართლებრივი და ინტერნაციონალური აღზრდის აპოკანებს.

სამწუხაროდ, უკველთვის სრულად არ ვითვალისწინებთ ამ უცილობელ მოთხოვნას. ამაზე მტკუველებს ჩვენი ურილობის შემაჯგენლობაც აღბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ დღეს აქ უფრო ფართოდ უნდა ყოფილიყვნენ წარმოდგენილი ჩვენი სტუდენტები, ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაეები, მოსწავლეები, მუშა და კოლმეურნი ახალგაზრდობა, ჩვენი მომავალი თაობა, ისინი, ვინც უნდა ეწიაროს ჩვენს ახ-



ტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას, ვინც უნდა აღადგინოს და გაუფრთხილებდეს, ვინც უნდა იღვაწოს და გაისარჯოს იმსახურეს, რათა ეს ძეგლები ასევე სრულყოფილად ემსახურებოდეს მომავალს, ჩვენს შემდეგმ თაობებს.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ობიექტების რესტავრაციაზე მუშაობა ახალგაზრდობის თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების, ლიბოების, ნარკომანიის, სოციალურად საშიში სხვა მავნე ჩვევების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა. რესპუბლიკაში ურველწლიურად ვლინდება ასობით ადამიანი, ვინც ნარკოტიკებს იღებს, მათი დიდი ნაწილი ახალგაზრდობაა, ხშირად — ინტელიგენციის წარმომადგენელთა შვილები, ვისთვისაც უცხო არ არის ნაციონალური ტრადიციების დაცვა-შენარჩუნების გრძობები. ჩვენს ისტორიულ ძეგლებს კი შეუძლია სწორ გზაზე დააუწიოს, სწორი მიმართულება მიხედოს ზოგიერთ გზადაციენილ ახალგაზრდას, წამოაშოროს მას უველადფერი ნეგატივი. რაც უცხოა ჩვენთვის ისტორიულადაც და ეროვნული თვალსაზრისითაც. საამისო კონკრეტული მაგალითები ბევრია, მაგრამ, ვფიქრობთ, აუცილებელი არ არის დღეს მათი დასახელება.

უველადფერი, რაც დაავიწყებულია ხალხის ეროვნულ, ისტორიულ ფასეულობებთან, უნდა დავიცვათ უღირსი ადამიანების ხელყოფისაგან არ უნდა მივაკაროთ ამ სფეროს საქმისნები და მაქინატორები, თაღლითები და სპეკულანტები, ძველთა დაცვის საზოგადოებას აქვს თავისი წარმომება და არ უნდა დავუშვათ, რომ იგი ვინმემ ანგარების მიზნით გამოიყენოს. უოველთვის მომხმაცენლობით და პრინციპულობით უნდა ვაფასებდეთ ასეთ მოვლენებს, არ უნდა ვუშვებდეთ არავითარ შედავას. ჩვენ მუდამ ვცდილობთ მაქსიმალურად გაუფრთხილდეთ კულტურის სფეროს, მისი მუშაკების, ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლების ავტორიტეტს. მაგრამ ზოგიერთი კულტურის მოვლენა თვითონაც უფრო მეტად უნდა უფრთხილდებოდეს თავის ავტორიტეტს, სამწუხაროდ, ჳერ კიდევ ბევრი დარღვევა კულტურის დარღვევებზე შეიძლება, რა თქმა უნდა, არ ეკადრება ამ სფეროს, ამ დარგს და არც აქ დასაქმებულ მუშაკებს. დღეს აქ კონკრეტულ მაგალითებს არ დავსახელებთ. აღბათ, გვაქნება სხვა შეხვედრებიც, კიდევ შევიკრიბებით სხვა აუდიტორიაში და აქ ერთობლივად დავაზუსტებთ ზოგიერთ საკითხს, გავმართავთ მხელებას და მის შედეგებს გავაცნობთ ფართო საზოგადოებრიობას.

როგორ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩ-

ვენოს, დღემდე გადაუწვევებელ პარადიგმად რჩება ლამაზი, დასამახსოვრებელი ნაოსნიანი და შედარებით იაფი ურბანული ძეგლების დასაზღვრების საკითხი.

თქვენ გახსოვთ ერთი პერიოდი, როცა ქვეყნის ხელმძღვანელები გატაცებული იყო ჩვენი ბევრი ახალგაზრდა ხელოვანი. შემდეგ ეს გატაცება ხის დამუშავებამ შეცვალა, შემდეგ კიდევ სხვა. საბოლოო ჯამში, ამით უფოოდ დიდ და სასარგებლო საქმეს ჩაუვარა საფუძველი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ კარგმა წამოწყებამ შემდგომში ვერ მსოვდა ფართო განვითარება. მნიშვნელოვანწილად ამითაა განპირობებული რომ დღეს ჩვენი გამოყენებითი ხელოვნება საკმაოდ დაბალ დონეზეა. ამჟამად შორსაა თანამედროვე ეტალონებისაგან თვით ძველთა დაცვის საზოგადოების მიერ გამოშვებული სუვენიერობიკრესპუბლიკის საწარმოებში მომშენებელ მატერიალები, დიზაინერები, ტექნოლოგები ნაყლებად გამოირჩევიან ქართული ხალხური რეწვის სახეობათა საფუძველიანი ცოდნით, ტრადიციული ფორმებისა და მოტივების შემოქმედებით გაზრებით. ხალხური ტრადიციების გათვალისწინება კი უფოოდ აამაღლებდა გამოშვებული ნაწარმის ესთეტიკურ ღირებულებას, ამასთან, ფართო პარაგანდას გაუწყდა ჩვენს ხალხურ კულტურულ მემკვიდრეობას.

ერთი უარყოფილია საურადადებო, — უველადფერი უნდა ეილწოთ იმსახურეს, რათა სუვენიერების წარმოებას, ამ დიდად კეთილშობილურ ეროვნულ საქმეს ღირსეული ხალხი წამოვიდა ხელოვანი ჩაუფხენ სათავეში.

ამჟამად იგარშობა მოწიდელო, მაღალკოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული ბუკლებების, გზამკვლელების, პლაკატების ნაყლებობაცუიქრობთ, ძველთა დაცვის საზოგადოებას ან უნდა გაუქარდეს ამ საკითხის მოგვარება. ამასთან დავაფიქრებთ აქ ზოგიერთმა ამხანაგმა სპეციალური გამოცემლობის შექმნის საკითხი დაუენა გულდასმით უნდა განვიხილოთ ეს შოხაზრება და ერთად გადავწყვიტოთ — უმკობდნი ახალი გამოცემლობის შექმნა, თუ მოქმედი გამოცემლობებისა და პოლიგრაფიული ბაზების უკეთ გამოყენება.

ჩვენი რესპუბლიკის მიწა, წყალი, ჰამარი თბავალბა ბუნების უველწაღ დიდი და უნიკალური ძმწლი. უველანი უნდა გაუფრთხილდეთ და სიმდიდრეს. შეურყენელი სახით შეევენარჩუნოთ იგი მომავალ თაობებს. ამის გარეშე რა ფასი ექნება ჩვენს მატერიალურ და სულიერ კულტურას.



ბუნების დაცვის პრობლემა კი ჩვენი ქვეყნის არც ერთ რესპუბლიკაში არ დგას ისე მწვავედ, როგორც საქართველოში. ამაში, ალბათ, დამერწმუნებთან მომხმე მოკავშირე რესპუბლიკები-დან ჩამოსული ტურმარებიც, რომლებიც აქ გულ-თიბი სიტყვებითაც გამოვდივან.

რითაა გამოწვეული ამ პრობლემის გამწვავება ჩვენში? უწინარეს ყოვლისა იმით, რომ ცუდად, უდიდრად წინდაუხედავად ვეკიდებით გარემოს. 1950 წლიდან 1949 წლამდე სახნავი ფართობები რესპუბლიკაში 2-ჯერ შევიკარდა. (სხვათა შორის, ასეთი რამ ჩვენი ქვეყნის არც ერთ მოკავშირე რესპუბლიკაში არ შეინიშნება). მხოლოდ ბოლო ათი წლის განმავლობაში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით რესპუბლიკაში გამოიყო 180 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო საფარული. მათ შორის 85 ათასი ჰექტარი სახნავი, გამოდის, რომ ჩვენში ყოველ ხუთ წელიწადში ერთი სასოფლო-სამეურნეო რაიონი უქმდება. გარდა ამისა, მიწების უფაირად გამოყენების გამო სამი ათეული წლის მანძილზე წყლებად ინტენსიურ ფართობებში გადაირიცხა 200 ათასამდე ჰექტარი სახნავი მიწა. შეათე ხუთწლეულში მიწების რეკულტივაციის სამუშაოები მხოლოდ 70 პროცენტით შესრულდა, 80-იანი წლების დასაწყისში ევროპულად-ბული „უპერსპექტივო სოფლების“ გაუქმების გამო ბევრი ნაყოფიერი მიწა ზურქნარებად და დაბად ინტენსიურ სათიბებად იქცა. თუ გავითვალისწინებთ ამასაც, რომ ქალაქშენებლობისა და სხვა სამშენებლო ობიექტებისათვის ყოველწლიურად 4500 ჰექტარზე მეტი მიწა გამოყოფა, არ უნდა იყოს ძნელი იმის გაგება, თუ რაოდენ არასაბარბილოდ გვაქვს საქმე.

გარდა ამისა, შავენ ნოთიერებებით გაბინტურებულია თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ზესტაონის, კასპის სხვა რეგიონების სამეურნეო აუზი, სადაც მათი კონცენტრაციის დონე 4-8-ჯერ აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმებს. უკეთესი მდგომარეობა არც წყლის რესურსების დაცვის საქმეში შეინიშნება. სულ უფრო ღარიბდება რესპუბლიკის ფლორა და ფაუნა.

ერთი სიტყვით, მდგომარეობა მეტად მძიმე და საგანგაშოა. ეს შეშუოთება კარგად ეგრძნობა გავით „კომუნისტის“ გუმიწინადად ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაშიც, რომელიც დიდი დიდობის განაშენიანების პრობლემაზე შეეხებოდა. ალბათ, შტკიცება არ უნდა კარგად იყოს იმას, რომ ქალაქშენებლობითი თუ სხვა ხასიათის ღონისძიებათა განხორციელება ზოგან კი არ უნდა აყენებდეს გარემოს, არამედ აკეთილშობილებდეს მას. ამისათვის კი აუცილებელია ჩვე-

ნი არქიტექტორები, საპროექტო დარგის სულ-მსლვანელები, სხვა ორგანოები, მეტი გულუბნობით, მეტი პასუხისმგებლობით, მეტი პატრონული გრძნობით მოეციდონ ახალ მშენებლობასთან დაკავშირებული ყოველხევის გადაწყვეტას, საქონლა გამოირიცხოს ყოველგვარი სუბიექტივიზმი, — თვითნებობა, ახალი ობიექტი იმგვარად და იქ კი არ უნდა შენდებოდეს, ვისაც როგორც მოსურბება, არამედ ისე, რომ პროექტში კომპლექსურად, წინასწარად იყოს გადამწყვეტილი ყველა ურთიერთდაკავშირებული საკითხი. იგი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს არა მარტო დღევანდელი მისი, არამედ მომავალ თაობების მოთხოვნებსაც. უნდა უძლებდეს არა ერთი და ორი წლის, არამედ, თუ გნებავთ, საუწყუნის გამოცდასაც.

სამუშაოთ, ასეთ მიდგომას ყველა რადი იჩენს. ამაში გვარწმუნებს ჩვენი საპროექტო ინსტიტუტებს, სახელოსნობის, სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან შეხვედრებით. როცა მათთან ერთად განვიხილავთ ამა თუ იმ სანარმოს მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ფართობის საწარმს, ვრწმუნდებით, რომ არც პროექტის ავტორებმა და არც იმათ, ვისი დაკვეთითაც შენდება ეს სანარმოს, კარგად არ იციან როგორი იქნება, იგი რას გამოუშვებს დღეს თუ ხვალ. ნათქვამის საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვანო.

დიდი დიდობით ერთ-ერთი სანარმოს მშენებლობისათვის გამოყოფილია არც მეტი, არც ნაკლები — 35 ჰექტარი მიწა. ასეცა იგი გათვალისწინებული თბილისის განაშენიანების გენერალურ გეგმაშიც. როცა ამ საქმის შესვერებებს დაუხვით კონკრეტული კითხვა, რა უნდა გააკეთოს ამ სანარმოს, რისთვის უნდა გააკეთოს, აუცილებელია თუ არა ამის გაკეთება, საქონლა თუ არა ასეთი ფართობის მიწა, აღმოჩნდა, რომ თურმე სავსებით სუყარისი ყოფილა ხუთიოდე ჰექტარი.

ცხადია, თუ ასეთ უპასუხისმგებლო, არახელმწიფობრივ დამოკიდებულებას გამოვიჩნეთ, სასიკეთოს ვერაფერს გავაკეთებთ, ვერაფერს ვარგებთ ვერც ქვეყანასა და ვერც ხალხს. აქ ყოველად დაუშვებელია აჩქარება, მოუთქმრებელი ნაბიჯის გადადგმა. უფრო მეტად უნდა დავეკითხოთ ხალხს, ჩვენს მშრომელებს რჩევა-დარიგება. მხოლოდ ასეთი მიდგომა აგვაცილებს თავიდან გამოუსწორებელ შეცდომებს. ამაზე სავსებით სწორად და სამართლიანად იყო საუბარი გავით „კომუნისტში“ ამას წინათ გამოქვეყნებულ ჩვენი სწავლული არქიტექტორის პროფესორ თ. კვიციანიას სტატიაში, აგრეთვე

არქიტექტორ ს. კანჭუჩაშვილის წერილში, რომელიც უკვე დაიბეჭდა.

საზოგადოების ფართო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს დიდი დიდობის განაშენიანების, ახალი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის პრობლემები, სხვა სამომავლო ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია ასობით და ათასობით მეტრით სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყოფასთან. მხოლოდ ასეთი ფართო, საერთო-სახალხო განაშენიანება უნდა უძღვოდეს წინ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას.

არ არსებობს ორი აზრი — ერის ისტორიისა და კულტურის ძეგლების რესტავრაცია დიდი ეროვნული საქმეა. შთამომავლობა უფროდ და ვერცხვებს იმას, რომ დაღუპვას გადაარჩინეთ ასეთლობით ასეთი ძეგლი. მაგრამ იგი უფრო მაღლივრი იქნება, თუ ამ ძეგლებს მომავალ თაობას გადაეცემთ არა როგორც წარსულის უტყუარ სიციცხლენაშქარად მატკიანეს, არამედ გაცოცხლებულ, ახალი შინაარსითა და ფუნქციებით გამდიდრებულ ეტრას, რომელიც აქტიურად ემსახურება თანამედროვეობას, ერის პატრიოტობას, ინტერნაციონალიზმს, ზნეობრივი და ეთნოტიკური აღზრდის დიდმნიშვნელოვან საქმეს. სწორედ ასეთმა მიდგომამ განაღდა შესაძლებელი ჩვენი მრავალი ისტორიული ძეგლის თანამედროვეობის სამსახურში ჩაყენება. არ ვიცი, შეიძლება უკვე არ იზიარებდეს ამ შეხედულებას, მაგრამ ჩვენი აზრით, ფოლკლორული ანსამბლი, რომელიც თბილისის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში მუშაობს, მეტად დიდ საქმეს აკეთებს — ემსახურება არა მარტო ჩვენი დედაქალაქის მშრომლებს, არამედ მის სტუმრებსაც. უკვე ტრადიციული გახდა ორღანული მუსიკის საღამოები ბიჭვანთის ტაძარში, რომელიც ასევე საყოველთაო, საერთო-სახალხო აღიარებით სარგებლობს. მშრომელთა მოწონებას იმსახურებს სამხატვრო გალერეაც, რომელიც მოთავსებულია ზუგდიდის მაცხოვრის ეკლესიაში, სასარგებლო საქმეს აკეთებს ბევრი სახალხო უნივერსიტეტი თუ სხვა კულტურული ეტრა. ავიღოთ, თუნდაც, იუპოთოს აკადემია, სადაც წლების მანძილზე წარმატებით მუშაობს კულტურის სახალხო უნივერსიტეტი.

ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ არის ბევრი ისტორიული ძეგლი, რომელთა აქტიური გამოყენება, რომელთა ფუნქციების ახალით, თანამედროვეობის გათვალისწინებით შეცვლა საკვებით შესაძლებელია ამ ძეგლებისათვის ზიანის მიყენების გარეშე.

სამწუხაროდ, ასეთი კარგი წამოწყებები ძალ-

ზე წელია ვრცელდება. ამაში სცოდავენ როგორც ძველია დაცვის საზოგადოება, ისე ჩვენი ინსტიტუტური ინსტიტუტები, რომლებიც დასამალი არაა, რომ რესპუბლიკაში, განსაკუთრებით სოფლად, არასამართლიანად განვითარებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი, პირველ რიგში ამ დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას ვგულისხმობთ. შეუძლებელია უკვე ეს საკითხი ერთ-ერთ წილადში გადაეწყვიტოს. ამავე ღრის არის ისეთი სოფლები და რაიონები, სადაც მრავლადაა ჩვენი წარსულის კულტურის ძეგლები, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, რესპუბლიკაში სულ უფრო იზრდება რესტავრირებული ძეგლების რიცხვი, ხანა არ შეიძლება უფრო თამამად და გაბედულად დაეაჯიხროს მათ კულტურულ-საგანმანათლებლო იდეურ-აღმშრდელი-ბითი ფუნქციები?

ავიღოთ თუნდაც, თბილისის ცენტრში, ძველია დაცვის საზოგადოების პრეზიდენის გვერდით მდებარე უძველესი არქიტექტურული ძეგლი — VI საუკუნის ანისხატის ბაზილიკა, რომლის აღდგენაზე დიდი გარკა განსიეს ჩვენმა რესტავრატორებმა. სამწუხაროდ, ძველი კვლავ დაკრძალა, კვლავ მიუწვდომელია დამოუკიდებელიათვის, არაფა, აქტიურად შეიძლება იგი ჩვენი თანამედროვეობის სამსახურში ჩაყენებინა, ხანა ამაზე არ უნდა ვფიქრობო უკვლაში? ხანა ეს ქალაქის ზღმმღვანელობის, მთავრობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმე არ არის? საქირთა ანისხატს შეეუქმნათ უკვე პარობა იმისათვის, რომ იგი კვლავ ემსახურებოდეს ხალხს, კვლავ მუშაობდეს ხალხისათვის, აღბათ, საქირთ იქნება ამაზე სპეციალურად ვიმსჯელოთ.

ერთი, მეტად მნიშვნელოვანი გარემოება უნდა გათვალისწინოთ. ჩვენი წარსულის ძეგლებს გაუკლებსაგან იმ შემთხვევაში გადაარჩენოთ, თუ მათ თავს ავაცოლებთ იმ ღრებებს, იმ გამრუდებულ, ჩვენი ხალხისათვის, მისი ისტორიისათვის, მისი ცხოვრებისათვის უცხო ფსევდოდღესწაულებს, რომლებიც მათ გარეშე იმართება. სამწუხაროდ, ამის არაერთი ფაქტი გვაქვს!

თიანეთის რაიონში უკვე დაწყებულია იმართება „დაშარობა“, წლებულს ამ რელიგიურ დღესწაულებში, რომელიც რამდენიმე დღე გაგრძელდა, 2 ათასამდე კაცი მონაწილეობდა. გაიმართა 100-მდე კარავი, დაიკლა მრავალი მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი, უზედ ისმეოდა სპირტანი სასმელები, იყო ღრეობა, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც ისტორიუ-

58581

გ. კ. სარ. კ. მარტისის  
სახ. საბ. რესპ. ბ.  
გ. კ. სარ. კ. მარტისის



ლადაც და დღევანდელი მისი გათვალისწინებით-  
თავ უცხოა ჩვენი ხალხისათვის.

წარსულსა და დღევანდელს შორის სრულ-  
და ანაქრონიზმი სულეც „ღვთისმშობლობა-  
ზეც“, რომელიც ასევე უკვე წლებურად იმარ-  
თება ლანჩხუთის რაიონის სოფელ ქვიანის გი-  
ხეთის დედათა მონასტრის ეკლესიაში მუშაობელი  
რაიონების მოსახლეობის მონაწილეობით.

ჩვენ შორის ვართ ამ აზრისაგან, რომ ისტორი-  
ულ ძეგლებს სათანადო პატივი არ მივაგვთ. მაგარა  
პატივისცემა არის და პატივისცემა. აქ  
სახეებით სწორად ბრძანა ი. ციციშვილმა, რომ  
წლებულს „ვარძაობაში“ მთელი საქართველო  
მონაწილეობდა. ამაზე ვარჯის მტეხი რა ვეუქმის.  
ჩვენ მხარს ვუჭერთ და მომავალშიც უკვე წინა-  
რად დავუჭერთ მხარს ასეთ ზეიმებს, რადგან იგი  
ამაღლებს ჩვენს ერს, ამაღლებს ჩვენს ხალხს,  
ამაღლებს ჩვენს დღევანდელსა, ამაღლებს  
ჩვენს პარტიულსა. ასეთი ზეიმები პატივისცე-  
მა ჩვენი წარსულისაგან, ჩვენი წინაპრებისადმი,  
თანაბრა მემკვიდრეობითობისადმი ჩვენი ერთ-  
გულების, თითოეული ჩვენთაგანის დამოკიდებ-  
ულობის გამოხატულებაა.

რესპუბლიკის პარტიული ორგანოები, საქარ-  
თველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი  
მაქსიმალურად ზრუნავენ ხალხის კულტურულ  
ფასეულობათა დაცვასა და გამდიდრებისათვის.  
ეს პარტიას თავის ერთერთ უმთავრეს მოვალე-  
ობად მიაჩნია. ამასთან მნიშვნელოვანია არა  
მხოლოდ ის, რაც წარსულის მემკვიდრეობიდან  
მოვიღებთ, არამედ შეცნობილი და შემოქმედებ-  
ითი აზრის დღევანდელი მიღწევებიც. ეს არის  
ჩვენი ერთადერთი მონაპოვარი. ამ მიმართულებით  
ხორციელდება სერიოზული ღონისძიებანი. მნი-  
შვნელოვანი გადაწყვეტილებებია მიღებული სა-  
ქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართულ  
ხელნაწერთა ინსტიტუტისა და ზოგიერთი სხვა  
დაწესებულებების მუშაეთა სამუშაო პირობების  
გაუმჯობესებისათვის. მიმდინარეობს საქარო  
ბიბლიოთეკის, საქართველოს ხელფანების მუ-  
ზეუმის რეკონსტრუქცია. გათვალისწინებულია  
ლიტერატურული მუზეუმის შენობის განახლე-  
ბა. მწუხარში ჩადგა სამეცნიერო-ტექნიკური  
ბიბლიოთეკის ახალი თანამედროვე შენობა და  
ბევრი სხვა.

„გამოცდილებით ვიცით — თქვა მიხეილ სერ-  
გისძე გორბაჩოვმა საზოგადოებრივ მეცნიერე-  
ბათა კათედრების გამგეთა საკავშირო თათბირ-  
ზე. — თუ ადამიანსა და საზოგადოებაში კინ-  
დება სულერი, ზნეობრივი ხაწისი, მაშინ ვარ-  
დუვალად ძლიერდება მუსტრული განწყობილე-  
ბანი, ნეთომონობა, მწირდება წინაგანი სამყარო.

ამ დავიკრების სისწორეს თვალწინაშეს ჩვენი  
ზოგიერთი არასასურველი ფაქტი, რომელსაც  
ზოგიერთი, სამწუხაროდ, ადგილი აქვს. ჩვენს  
ტურულ ცხოვრებაში, ჩვენს მუშაობაში, ჩვენს  
ეროვნული ტრადიციები, ხალხის ისტორია და  
კულტურა ის ზნეობრივი და გადამწყვეტი ღერ-  
ძია, რომელიც განსაზღვრავს ერის თვითშეგნე-  
- გუგუნიანი ნინა აბშელის ასული — აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქ. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე
- გოგელია არჩილ გრიგოლის ძე — გაზეთ „თბილისის“ მთავარი რედაქტორი
- ჯაქარაია პარმენ ფარნაოზის ძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზელოვნების ისტორიის კათედრის გამგე; პროფესორი
- თაბუკაშვილი რევაზ შალვას ძე — მწერალი
- კინწურაშვილი ხაიმონ შალვას ძე — ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის საქ. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის რედაქციის გამგე
- ლორთქიფანიძე შარამ დავითის ასული — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე; საქ. სსრ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
- ლორთქიფანიძე ოთარ დავითის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორი, პროფესორი
- მატარაძე ლევან ნიკოლოზის ძე — საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს უფროსი
- პაპალაშვილი გივი ვლადიმერის ძე — საქ. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე
- სანუბლიძე არმავ რომანის ძე — საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომუშყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე
- ფერაძე თენგივ გიორგის ძე — საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; დოცენტი
- ცანცაძე ვახტანგ გერონტის ძე — ქართული ზელოვნების ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, პროფესორი
- ციციშვილი ირაკლი ნიკოლოზის ძე — საქ. ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო საწარმოო სამმართველოს უფროსი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, პროფესორი
- შაჯია შოთა მამას ძე — აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქ. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე
- შავლობოვი ალექსანდრე აპოლონის ძე — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე; საქ. ისტორიისა და ძეგლთა დაცვის საზოგადოების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის თავმჯდომარე
- ჩხეიძე შურაბ აშბროსის ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე
- ქაზნაბერიძე ნოდარ შალვას ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე
- კლიაძე თამაზ ივანეს ძე — საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი



- რობაქიძე ალექსი ივანეს ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე
- შაქარიაშვილი ირაკლი დავითის ძე — საქართველოს ხელოვნების მუზეუმის სწავლული მდივანი
- ქალდანი ანზორ მაქსიმეს ძე — ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
- ღამბაშიძე გივი ვაიოხის ძე — მოსკოვის დონის მონასტრისა და ჩრდ. კავკასიის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი
- ჩაფარიძე ვახტანგ ვარლამის ძე — საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი
- ეორდანიას ოთარ კონსტანტინეს ძე — ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტ. მეცნიერებათა დოქტორი
- ჩართილანი მიხეილ იშაილის ძე — ს. ჭანაშვილის სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე.



დიდ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ილია ჭავჭავაძეს მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ილია, აკაკისთან ერთად, ფუძემდებელია ახალი ქართული მწერლობისა და ახალი სალიტერატურო ენისა. ილიას შემოქმედება უაღრესად ფართო დიაპაზონისა და უნივერსალური ხასიათისაა. მან გადამწყვეტი გავლენა იქონია აფხაზეთა, ოსთა, აზერბაიჯანელთა და სხვა ერების მშობის განმტკიცებაზე, საქართველოსა და რუსეთის ხალხთა მეგობრობის გაღრმავებასა და განვითარებაზე. ილია იყო პოეტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ეკონომისტი, სოციოლოგი, ღრმა მოაზროვნე და ისტორიკოსი.

დიდი ისტორიკოსი, აკადემიკოსი ივანე ჭავჭავაძის ილიას შესახებ წერდა: «ფეიქრობ და დარწმუნებული ვარ, რომ ვინც მომავალში ქართული ისტორიოგრაფიის თავგადასავლის მე-19 საუკუნის ამბების შესწავლასა და აღწერას შეუდგება, ის ვალდებული იქნება ისიც აღნიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძე დიდებული იყო არამარტო პოეზიასა და პუბლიცისტიკაში კი არა ან და კიდევ მარტო ვითარცა ახალი სალიტერატურო ენის შემქმნელიც კი არა. არამედ რომ საქართველოს ისტორიოგრაფიაშიც მას ასეთივე ღვაწლი ჰქონია, რომლის დავიწყების უფლება არც ერთ ქართველს არა აქვს».

ილია ჭავჭავაძე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლიდან სიკვდილამდე ნახევარი საუკუნის მანძილზე იბრძოდა მშობლიური ქვეყნის თავისუფლებისა და აღორძინებისათვის. მოღვაწეობის ესოდენ ხანგრძლივ პერიოდში საქართველოს ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში არ წამოჭრილა არც ერთი აქტუალური საკითხი, რომლის გადაწყვეტაში ილიას მონაწილეობა არ მიეღოს და თავისი ნაყოფიერი საქმიანობის კვალი არ დაეჩინოს.

ილია ჭავჭავაძემ ახალგაზრდობაშივე გამოავლინა თავისი მოღვაწეობის მაღალი დანიშნულება, როდესაც განაცხადა:

„ერის წყლული მაინდეს წყლულად,  
მეწოდეს მის ტანჯვით სულით“.

და ის ბოლომდე ამ დევიზის ერთგული დარჩა.

ერის მამა ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „რომ ერის პირტყე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდან დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს... წარსული მკვიდრი საფუძველია აწმყოს“, როგორც აწმყო-მომავლისა... აღდგენა ისტორიაა — ერის გამოცოცხლება, გამომხნევებაა აწმყოს გაგება და წარმართვა, მერმისი გამორკვევა სიბნელისაგან (ილია, თბ., ტ. IV, გვ. 200-204). ილია ერთნაირი პატივისცემით ეპყრობოდა როგორც თავისი ხალხის ისე სხვა ხალხების ისტორიას. საკაცობრიო, ინტერნაციონალურ პროგრესულ სულისკვეთებას, ხალხთა მშობისა და მეგობრობის ტრადიციებს აღვივებდა პოეტი როცა წერდა:



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა





„აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,  
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,  
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,  
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას“.

(„ქართვის დედას“).

დიდი ილია საქართველოსადმი რუსეთის დამოკიდებულებაში ყოველთვის იზიარებდა რუსეთის „უკეთეს წარმომადგენელთა“ და პირველ რიგში მწერალ ვ. მარკოვის თვალსაზრისს, რომელიც გამოთქვა მან (1881) წლის „რუსკაია რეჩის“ ნოემბრის ნომერში. მარკოვი ამ წერილში წერდა: „ჩვენ რუსებმაო არ უნდა დავივიწყოთ თავის დღეში, რომ საქართველო ხმლით არ დავკვიკვრია რომ ჩვენ იმათი თანასწორი ძმანი ვართ და არა მძლავრი ბატონები, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველი შემოვიდნენ ჩვენს ოჯახში მისთვის, რომ ქართველადვე დარჩნენ და უცხო ჯიშმა, უცხო სარწმუნოებამ, უცხო ჩვეულებამ არ შთანთქას. ამიტომ ყოველსავე ქართულს, ყოველსავე ქართველ-თაგან ისტორიით მოპოვებულს, ყოველსავე სალოცავს ერისას და წმინდად აღიარებულს, ყოველსავე თვისებას მათსას იმდენად პატივი უნდა ვცეთ, იმოდენად მზარი და ხელი შეუწყოთ, რამოდენადაც ყოველსაფერს ჩვენს საკუთარ რუსულს. კავშირი ძმათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ ერთიმეორეს სმურად შეეწეოდეს, ერთი-მეორეს შემსკვალოს, და არა იმაში — რომ ერთის ადამიანობა მეორეს მტლად დაედოს, ერთმა მეორე ჩაჰყლაბოს“.

(ი. ჭ. თხზ., ტ. V, გვ. 132-133).

დიდი ილია ლამპრად ენთო მამულისათვის, იყო დედაბოძი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობისა, მადიდებელი წარსულისა, როგორც აწმყოს საძირკვლისა და მახარობელი უკეთესი ზეალინდელი დღისა, „ქართვის დედის“ მოსიყვარულე და თაყვანისმცემელი, „გუთნისდედის“ მოტრფიალე, ქართული ენის რეფორმატორი, ახალი ქართული ენის დამამკვიდრებელი, თანამგარძნობი „ცრემლიანი სიცილისა და სიცილიანი ტირილისა“, მონატრული ისეთი საზოგადოებისა, სადაც ყველაში თითოა გამობატული და თითოში ყველა, „სადაც თითოეული ყველასათვის ფიქრობს და ყველა თითოეულისათვის“, ილია ჭავჭავაძე იყო ერთიანი საქართველოს ალამდარი, სიყრმიდანვე ქართლის ბედს აყოლილი, ერის გენიალური მასწავლებელი, „უგვირგვინო მეფე“. ამიტომ ვამბობთ რომ ილიაში ყოველივე ეროვნულია და მაშასადამე, საკაცობრიო, ინტერნაციონალური. ილიას ნაწარმოებები რომ ეთარგმნათ მსოფლიოს ხალხთა ენებზე, იგი დღეს საყოველთაოდ ცნობილი იქნებოდა, როგორც გენიოსი მწერალი, მაგრამ ილია მცირერიცხოვანი ერის შვილი იყო, რომლის სამშობლო ისტორიული უკულმართობის გამო საუკუნეების მანძილზე იზოლირებული იყო კულტურულ, ცივილიზებული სამყაროდან. ილიას მოღვაწეობის სარბიელი საქართველო იყო, ხოლო შემოქმედების სფერო ქართველი ხალხი. ილიას უკედავება მის მიერ შექმნილ უბადლო ნაწარმოებებშია დაწყებული „მგზავრის წერილებიდან“ და დამთავრებული „ოთარაანთ ქერიეთი“. ილიას აზრით ქართველს არა აქვს უფლება უმოქმედოთ იყოს. „მე როგორც ქვეყნის შვილს თერგის სახე უფრო მომწონს და მიყვარს“ — ამბობდა ილია. მან სიყვარულის ამ გაგებით ამოათრია წუმპედან





ლუარსაბი და სარკეში ჩაახედა იგი, ამ თვალთახედვით დაგმო განდევნილმა, ამ მიზნით სცადა გიორგისა და კესოს გულთა შეერთება, ძეგლი აუგო მათსა და დაედას...

ილია აჩრდილივით თავს დასტრიალებდა საყვარელ სამშობლოს.

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვალ შენთან!  
 მე ვარო შენი თანამდევნი, უკვდავი სული.  
 შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა  
 ამ გულში მე მაქვს შენი აწყო, შენი წარსული“.

რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები არ მოგვეცივან, რა ვაი ვეგლანი, რა სისხლის ღვრა, რა ღრქენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზე და ყველას გავუძელით, ყველას ვაუფმავრდით, შევიჩინებთ ჩვენი თავი, შევიჩინებთ ჩვენი ქვეყანა ჩვენი მიწაწყალი, ლანგთემურებმა ჩვენს საყუთარ სისხლში გვაბანავეს და მაინც დაერჩით და გამოვცოცხლდით, შაბაბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილ-შვილი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით, აღამაჰმადხანებმა პირ-ქვე დაგვახეს, ქვაქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვესპეს, მოგველიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით, მოვშენდით, წელში გავსწორდით, გავუძელით საბერძნეთს, რომს, მონგოლებს, არაბებს-ოსმალ-თურქებს რჯულიანს და ურჯულოს და დროსა ქართველობის შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული ხელში შევიჩინებთ, არავის წაეღებინებთ. არავის დავანებებთ, არ შევაგინებინებთ და როგორც ვაჟა-ფშაველამ ბრძანა: „მადლობა განგებას, მადლი ბუნების კანონს, რომ უყიდურეს ყოფაში ჩავარდნილ ხალხს არ ასცდება მეშველი კაცი და მუდამ ჩნდება სამართლის დამცველი, ჭეშმარიტების მომხრე ადამიანი. ამითანა კაცების ნათელი სახე მარად გამოიყურება მზის სხივით ისტორიის ფურცლებზე. ბევრი მათგანი ჯვარს ეცვა, ბევრი ცეცხლში დაიწვა, ბევრს ცელმა მოჰკვეთა თავი, მაგრამ სიმართლე, ჭეშმარიტება ჭეშმარიტებადვე დარჩა და ყველა პატიოსან კაცს უდგება თვალწინ“.

და იცით როგორ მოვახერხებთ ამდენი? — იმით რომ ქართველ ხალხს ჰყავდა დიდი ილია, ერის მამა და ილიას მსგავსი ერისკაცები სამშობლოსათვის თავდადებულნი ვაჟკაცები, რომელთა წვლილი ქვეყნის სამსახურში ცხოვრების ყველა უბანს წვდებოდა. დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გიკვება-შვილის თქმით — იქნება არც ერთ მსოფლიო გენიოსს არ ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავის ერისათვის, რამდენიც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის.

შოთა რუსთაველის შემდეგ ქართველ ხალხს არ ჰყოლია მეორე ისეთი ღრმად მთავროვნე და ყოველმხრივ განათლებული მწერალი, როგორიც ილია ჭავჭავაძე იყო. მეცნიერებისა და მხატვრული აზროვნების ტიტანი, რომელიც ბუნებამ გასაოცარი ნიჭით და ურყევი ნებისყოფით დააჩილდოვა.

ილიამ ჰაბტუკობაშივე შეისისხლხორცა ყოველივე კარგი, რაც ქართულ, რუსულ და ევროპულ კულტურას გააჩნდა და მათზე დაყრდნობით გამოძერწა უკვდავი ეპოქალური მნიშვნელობის ნაწარმოებები.

ილია იყო საქართველოს განახლებისათვის მებრძოლი პროგრესიული



ქალების ბელადი. მან შეძლო სათავეში ჩადგომოდა საქართველოს რევოლუციურ-დემოკრატიულ ანუ ეროვნულ-გამანათავისუფლებელ მოქმედებას, რომლის მიზანი ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული გათავისუფლება იყო.

და მაინც ვინ იყო ილიას წინაპრები და როგორა იყო თვით ილიას სახე-ქვაკვადების გვარის დამწყებია ფაროდი, ოტია (XV ს.), პაპუნა, მამუკა, ფარემუზ (XVIII ს.), ბესპაზ, პაატა (XIX ს.) პაატას, ყავდა შვილები: სვი-შონი, ალექსანდრე, გრიგოლი, გარსევანი და იოსები. გრიგოლის შვილები იყვნენ: კონსტანტინე, ნინო, ილია, ელისაბედ, თეიმურაზ და სვიმონი. ილიას თანამედროვენი გადმოგვცემენ: „ვისაც ილია პირადად, ცოცხლად მოლაპარაკე არ უნახავს, იმას ფოტოგრაფიის სურათი ვერას ეტყვის. ფოტოგრაფიას არ ძალუძს გადმოსცეს ადამიანის სულიერი არსება, მისი მშვენიერება, მისი იდუმალ ძალთა მოძრაობა. ილია ქვაკვადზე ისეთი ლამაზი და მარილიანი, კაცი თვალს ვერ მოაშორებს. მშვენიერი ფართო შუბლი, თმა ხშირი, შავი, როგორც გიშერი, შუაზედ გადაყოფილი და გრძლად დაშვებული კისრამდე... ტანით თურმე პატარა კახს მიაგავს, მაგრამ, როცა ზის, ჰგონია ადამიანს ღი-ზანბავრელის მხრები აქვსო... ჩასხმული კარგად ჩასქელებული, კისერჩარ-გული, ერთი სიტყვით, „ბურთივით მრგვალი“, როგორც მოსწრებულად და-ახასიათა გრიგოლ ორბელიანმა, მაგრამ ამ ტანზე იჭდა თავი, ილიას თავი, რომელიც საბერძნეთში ღირსი და დამამშვენიებელი იქნებოდა ფიდიუსის ქან-დაკებისა წარმოიდგინეთ მაღალი გაშლილი, გადატყეცილი შუბლი, სწორი, თითქოს საგანგებოდ ჩამოსხმული ცხვირი, მრგვალი მოძრავი ნესტოებით, მოკუმული ტუჩებით, ცოტა წინ წამოწეული ნიკაბი და... თვალები ჰკვიანი, მეტყველი, ილიას თვალები, ხან ღმობიერნი სათნონიანი... ხან არა ამქვეყ-ნიურნი, ზეციერნი, ხან მრისხანენი, წარმოიდგინეთ ყველა ეს და თქვენ თვალწინ გეყოლებათ ცოცხალი ილია. რისხვა დიდი იცოდა. არა ყვირილი, არა ძახილი ხმითა დიდითა, არა ვაი-უშველებელი, არამედ ოდნავი ხმის აწევა და ფოლადური სიმტკიცე თითოეულ სიტყვაში, თანაც ცეცხლით ანთებული თვალები და დოღში გამოსულ ბედაურით ამოძრავებული ცხვირია ნეს-ტოები. ამ დროს მისი არსება უდრევი ენერჯის განზორციელება იყო“... სახეზე აღმური ასლიოდა, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა, და ვაი იმას, ვისაც მისი ტორები ბასრიან ბრჭყალებით მოხვდებოდა, დიდხანს დაახსომ-დებოდა და მეორედ მასთან ბრძოლას ადვილად ვეღარ გაბედავდა. ბევრისაგან გამიგონია ილია, მკაცრი, სასტიკი და ხშირად მკვახე ადამიანიო. ტყუი-ლად ხომ არ ამბობდნენ რომ „ოთარაანთ ქვრივი“ თვით ილიაა, მხოლოდ კა-ბაში გადაცმული, ილია უფრო გულჩათბობილი კაცი იყო, მაგარი, გაუტე-ხავი, ცოტა ჭიუტიც, მაგრამ სასტიკი არა. აი ერთი ბარათი მეუღლისადმი : 1887 წლის თარიღით. აქ ილია შესანიშნავად ახასიათებს თავისთავს: „ოცდა-ოთხი წელიწადია ერთად ცხოვრობთ და ნუთუ ჩემი სამაგელი ხასიათი ვერ იცანი ჭერაც. ვანა არ იცი, რომ თუ მეწყინა რამე, გულში ჩავიხვევ ხოლმე და შუბლს აღარ გავხსნი არავის წინ, ვინემ გულიდან ჭავრს არ გადავიყრი? ღმერთს ჩემთვის ალერსის ნიჭი და უნარი არ მოუცია და როცა მეტი გზა არ არის, რომ ალერსიანი სიტყვა ვუთხრა ვისმე, მე თვითონ ვწითლდები“.



ილიას ძალიან უყვარდა სიმღერა „მუმლი მუხასა“, მაგრამ თვითონ სმენა ნაკლებად ჰქონდა და არც ხმა უვარგოდა. „მუმლი მუხასა გარსნი მუხასა დაიწყებდა ილია... ბოლოს მაღალი ხმით, მაგიდაზე მუშტის დაცვით თაერებდა: მუმლი დაიხრჩო, მუხა გადარჩაო“ — ისეთი ახალგაზრდული გატაცებით შექყვებოდა თითქოს თვალწინ ხედავდა, როგორ იხრჩობოდნენ საქართველოს მტერნი (მუმლი) და როგორ გადარჩა მუხა (საქართველო).

ტიციან ტაბიძის თქმით „მე-19 საუკუნე საქართველოში ილიამ კიდევ მოიგონა, კიდევ შექმნა და თავისი სისხლით დაჰკირა“...

„სად მიგყევარ, მდინარე  
 მოწყენილ სიცოცხლისაე!  
 ჩემს მცირე ნავს რას არხევე,  
 ზეირთო წუთისოფლისაე!  
 რას შემამთხვევე, ვინ იცის  
 აზრი შენი ცივი წყლის?..“

ასე ფიქრობდა ილია საგურამოს ეტლით მიმავალი. ილია მოჰკლეს საგურამოს გზაზე...

დიდი აკაკი ასე გამოეთხოვა მეგობარს: „მშვიდობით მშაო! გარემოებამ ვადაგვაბა ჩვენს ერთმანეთზე ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთ უღელს ვეწეოდით: ერთი გზით დავდიოდით... ამიერიდან შენ ეკუთვნი ისტორიას... თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უყვდავი ჩქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ რომ მაგ შენი სიკვდილით წინა-უსწარ მის სიკვდილს და თვალთ ველარ ნახავ“.

გამართლდა აკაკის წინასწარ თქმული ილიას შესახებ. დიდი ილია უკვდავია საქართველოსთან ერთად. ილიას ბრწყინვალე შემოქმედება ასაზრდოებდა და დღესაც ასაზრდოებს მის შემდგომ თაობებს, ილია დღესაც ერთგულად ემსახურება ჩვენ ხალხს, დღესაც გვაოცებს, გვაძალღებს, გვეზმარება და გვასწავლის სიკეთეს, პატიოსნებას და ზნეობრივ სიფაქიზეს.

ილიას ნაწერებში მოჩანს ქართველი კაცის გონება, მისწრაფება და ამ ნაწერების კითხვისას რწმუნდება, რომ იგი, არა მარტო მისი დროისათვის იყო მნიშვნელოვანი, არამედ განსაკვიფრებლად ჩვენ დროს ესადაგება და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს დღეისათვის, ჩვენთვის დაეწერა იგი. ილია ჭავჭავაძის ყველა ნაწარმოები ქართველი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებასა და მის ამაღლებას ემსახურება. ილია ერის მამა უპარტოვანად ეროვნული საკაცობრიო და ინტერნაციონალისტი. მადლიერი ქართველი ხალხი საბჭოთა ქვეყნის მრავალეროვან ხალხებთან ერთად ზეიმობს დიდი ილიას რაბაიობიდან 150 წლისთავს.




**ბებრის ციხე**

საქართველოს უძველესი დედაქალაქი — მცხეთა მდიდარია მატერიალური კულტურის ძეგლებით.

ერთ-ერთი მათგანია „ბებრის ციხის“ საფორტიფიკაციო ნაგებობა, რომელსაც მცხეთის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი ეკავა.

ბებრის ციხე ზუსტად არ არის დათარიღებული, თუმცა ისტორიული წყაროები და არქიტექტურული დეტალები წარმოშობას ადრეულ საუკუნეებზე მიგვანიშნებენ. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ციხეს უკვე დიდი მნიშვნელობა ჰქონია, რამდენადაც (ისტორიული წყაროების მიხედვით) იქ — 1156 წელს გარდაიცვალა საქართველოს მეფე დიმიტრი I.

ბებრის ციხე აღმართულია მდინარე არაგვის მარჯვენა ნაპირის შემადგენულ ბორცვზე. იგი შედგება ორი ნაწილისაგან — ზედა და ქვედა ციხისაგან.


ზედაციხე აგებულია ბორცვის თავზე, მას გვეგმაში სამკუთხა ფორმა აქვს და ბორცვის გეოგრაფიული მდებარეობითაა ნაკარნახევი. ციტადელის სამივე კუთხეში აღმართულია მასიური კოშკები. მათგან ყველაზე დიდია სამხრეთის კოშკი, იგი გვეგმაში 12×14 მეტრია. კედლის სისქე ქვედა ნაწილში ორ მეტრს აღემატება, ზევით კი თანდათან კლებულობს. დასავლეთის მხარეს მას მომრგვალებული ზურგი აქვს. კოშკი ოთხსართულიანია, შესაძლოა ჰქონდა სამეურნეო საართულიც. კედლებში დარჩენილი კოჭების ბუდეებით ირკვევა რომ კოშკს ხის საართულშუა გადახურვები ჰქონდა. სათავსებს აქვს ვიწრო სარკმლის ღიობები და საკმაოდ მოზრდილი ღრმა ნიშები, რომლებშიც საბრძოლო ამბრახურებია დატოვებული. ამგვარ ღრმა ნიშებში მოხერხებულად შეიძლებოდა თავდაცვითი მოქმედება. სამხრეთის კოშკში შესასწავლელი კარი, სავარაუდოა, მოთავსებული იყო აღმოსავლეთის კედელში, ეზოს მხარეს, იქ სადაც გვიანდელი ჩაშენებული კედელი იყო.

ჩრდილოეთის კოშკი დაახლოებით ანალოგიურია სამხრეთის კოშკის. იგი მოცულობით ოდნავ ჩამორჩება მას. ეს ორივე კოშკი გამოიყენებოდა, როგორც საბრძოლო, ასევე საცხოვრებელი დანიშნულებისათვის.

მესამე — აღმოსავლეთის კოშკი შედარებით მცირე ზომის ყოფილა, მისი თავდაპირველი გეგმის კონტური ძნელად იკითხებოდა; დარჩენილ, მცირე ფრაგმენტებზე გვიან პერიოდში აუცილებლად ცილინდრული ფორმის კოშკი. იგი უხარისხო წყობით არის შესრულებული, რაც გვიან შუასაუკუნეებზე მიგვანიშნებს.

ქვედაციხე, რომლიდანაც შემორჩენილია მხოლოდ გალავნის კედლის ნაშთები, ციტადელს შემოუყვება სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან. აქვე კომპლექსის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში აღმართულია ქვედაციხის კოშკი, რომლიდანაც მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთის კუთხის ფრაგმენტია დარჩენილი.

ბებრის ციხის კედლების სისქე მეტრნახევრიდან ორ მეტრამდე აღწევს; კედლები ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვიშაქვის წყობით კირის დულაბზე.



ბებრის ციხე. სიტუაციური გეგმა.

«Беврис цихе». Ситуационный план.

იგი ტექნოლოგიურად მაღალი ხარისხისაა და მოწმობს მშენებლის მაღალ დონეზე. ზედაციხის დასავლეთის კედელს გარედან ამაგრებს ნახევარწრიული კვეთის ძლიერი კონტრფორსები.

ქველმა ჩვენამდის მოაღწია ძლიერ დაზიანებული სახით. დანგრეული და დაკარგულია კედლების მნიშვნელოვანი ნაწილები, არსად არაა დარჩენილი ქონგურების ან საბრძოლო ბილიკების კვალი, რის გამოც გალავნის კედლების სიმაღლეზე და საერთოდ ციხის მთლიან რეკონსტრუქციაზე მხოლოდ საუარესო მოსაზრებები შეიძლება გამოითქვას.

ბებრის ციხეზე წინასწარი და საკვლევი სამუშაოების ჩატარების შემდეგ უფრო გამოაშკარავდა ციხის ავარიული მდგომარეობა და ნათელი გახდა ის საშიშროება, რომლის წინაშე იდგა ციხის კომპლექსის ფრიად მნიშვნელოვანი მოცულობები. გალავნის კედლებს, განსაკუთრებით სამხრეთისას და ჩრდილოეთისას, მიღებული დეფორმაციის გამო დაკარგული ჰქონდა კონსტრუქციული სიმდგრადე და გადანგრევის საშიშროება ემუქრებოდა. კედლები ზედა ნაწილებში ბევრგან მორყეული და გამოფიტულია, ჩანდა ვერტიკალური ბზარები.

ასევე ავარიულ მდგომარეობაში იყო ციხის კოშკები. სამხრეთის და ჩრდილოეთის მასიური კოშკებიდან ნახევარზე მეტი მთლიანად დანგრეული




ქართული  
ენციკლოპედია




ბეზრის ციხე, სამხრეთ-დასავლეთის ზე  
დი რესტავრაციამდე და რესტავრაციის  
პროცესში.

«Безрис цихе». Вид с юго-запада  
до и в процессе реставрации.






ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა



ბებრის ციხე. სამხრეთი კოშკის დასავლეთი ხედი, რესტავრაციამდე და რესტავრაციის პროცესში.

«Бебрис цихе». Южная башня, вид с запада до и в процессе реставрации.






ქართული  
ენების ცენტრი



ბებრის ციხე. დასავლეთი ზედი. რესტავრაციამდე და რესტავრაციის პროცესში.

«Бебрис цихе». Вид с запада до и в процессе реставрации.





და დაკარგულია. დარჩენილი კედლების უზარმაზარი მასები ძლიერ ფორმირებული და დაქსელილი ღრმა, ბევრგან გამჭოლი ბზარებით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამხრეთის კოშკი, რომლის ოცმეტრიანი სიმაღლის კედლებს მიღებული ძლიერი დეფორმაციის გამო გას-ჩენოდა ვერტიკალური, გამჭოლი ბზარები. კოშკის მასები საგრძნობლადაა გადაწოლილი დასავლეთისაკენ. ვაოცებას იწვევს ის ძალა, რომელმაც იგი ამ მდგომარეობაში გააჩერა და ჩვენამდის მოაღწევინა.

რაც შეეხება ქვედა გალავანს და მასთან მდებარე კოშკს, ესენი მხოლოდ ცალკეული, უსახო ფრაგმენტებითაა მოღწეული და განადგურების საფრთხე ემუქრებათ.

აი ასეთი იყო ზოგადად, ბებრის ციხის არქიტექტურული სახე და ფიზიკური მდგომარეობა სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებამდე.

ციხეზე უშუალოდ მუშაობა დაიწყო მისი გაწმენდით, რომელსაც ჩვენთან ერთად მეთვალყურეობას უწევდნენ მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის თანამშრომლები. გაწმენდითი სამუშაოების შედეგად დაზუსტდა და დადგინდა ციხის კედლების გეგმის კონტური. საკმაოდ დიდი მოცულობის მიწის სამუშაოები შესრულდა სამხრეთის და ჩრდილოეთის კოშკებში, სადაც როგორც ზევით აღენიშნეთ მნიშვნელოვანი ნაწილები კედლებისა მთლიანად იყო ჩამოქცეული. გაწმენდით სამუშაოების დროს, დავედით რა კლდის ქანმდე, გამოჩნდა დაკარგული კედლების მცირედი, მაგრამ აშკარა ნაშთები. ამ მასალაზე დაყრდნობით აღვილად დაზუსტდა სამხრეთის და ჩრდილოეთის კოშკების გეგმა. ყოველივე ამის შემდეგ დაეამუშავეთ ბებრის ციხის რესტავრაციის პროექტი ნაწილობრივად აღდგენა-კონსერვაციის მეთოდით. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ნაწილობრივ აღდგენაში, კედლების მოცულობათა აგება იმ გარკვეულ მინიმუმამდე გავითვალისწინეთ, რომელიც აუცილებელია ძეგლის კონსტრუქციული მდგრადობის მისაღებად.

ზედაციხის კედლებიდან მნიშვნელოვანი მოცულობის აღდგენითი სამუშაოები ჩატარდა სამხრეთის კედლებზე, სადაც მთლიანად დეფორმირებულ კედლის ფრაგმენტი ახალი წყობების საშუალებით შევკარით და დავეუკავშირეთ მთელ კედელს: შედარებით მცირე მოცულობის სამუშაოებით შემოიფარგლა გალავანის ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლები; აქ ძირითადად შეიკრა გეგმის კონტური, გამაგრდა და დაკონსერვდა ზედა ნაწილები. ზედაციხის სამივე კედელს გავუძლიერეთ სამირკველები სათანადო ნაწილებში.

განსაკუთრებით რთული ხასიათისა და დიდი მოცულობის სარესტავრაციო სამუშაოების შესრულება მოითხოვა სამხრეთის კოშკმა, რაც გამოწვეული იყო მისი ძლიერ ავარიული მდგომარეობით. პირველ რიგში მოვშალეთ კოშკის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ნაგები გვიანდელი, უფრო მოსახის კონტრფორსი; იგი აგებული იყო კოშკის სამხრეთის კედლის გადმონგრევის შემდეგ, კუთხის გამაგრების თვალსაზრისით. ამის შემდეგ შევკარით გეგმის კონტური, რომელზეც გარკვეულ, კონსტრუქციულად აუცილებელ ნიშნულამდე აღვადგინეთ კოშკის სამხრეთის კედელი. იგი საფუხროვანი გადასვლებით დავეუკავშირეთ აღმოსავლეთის კედლის კუთხესა და დასავლეთის კედლის ზურგიან ნაწილს. აღდგენილი კედლის ზედა დონეში გავმართეთ რკინა-ბეტონის სარტყელი, რომელიც თავდაპირველ მასებს მთელს



ბებრის ციხე. ჩრდილოეთი კოშკი რესტავრაციამდე და რესტავრაციის პროცესში.


«Бебрис цихе». Северная башня до и в процессе реставрации.






ბებრის ციხე, ჩრდილოეთი კოშკი რესტავრაციამდე და რესტავრაციის პროცესში.

«Бебрис цихе». Северная башня до и в процессе реставрации.





ბებრის ციხე. აღმოსავლეთი ნაწილი  
რესტავრაციის შემდეგ.

«Беврис цихе». Восточная часть  
после реставрации.

პერიმეტრზე დაუკავშირდა ლითონის სარტყელით; ეს უკანასკნელი დამალეთ გარეთ საპირე წყობის სიღრმეში, რითაც კოშკის ფასადებს ვიზუალურად ავაცილეთ უცხო ელემენტები. კოშკის სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთის შეეულ მასებში, ჩვენს მიერ აღმართულ რკინა-ბეტონის ბოძების ზედა ნიშნულზე მოეწყო, ასევე, რკინა-ბეტონის მეორე სარტყელი; იგი პირველ სარტყელზე ერთი სართულით მდლდა და კოშკის ზედა ნაწილებს ჰკრავს.

ამრიგად მთელ ამ აღდგენა-გამაგრებით სამუშაოების შესრულების შემდეგ შეიქმნა მთლიანი, მონოლითური სისტემა; კოშკს მიენიჭა კონსტრუქციული სიმდგრადე, რაც მისი დაცვისა და შენარჩუნების აუცილებელი და საინჟინერო პირობაა.

დაახლოებით ანალოგიური სამუშაოები, ოდნავ მცირე მასშტაბით განხორციელდა ჩრდილოეთის კოშკზე; აქ დამატებით, ყოველგვარი საძირკვლების გარეშე აგებულ თავდაპირველ კედლებს, გაუკეთდა შიგნიდან კედლების ქვეშ ბეტონის ღრმა გამაძლიერებლები. საფუძვლების გასაძლიერებელი სამუშაოები შესრულდა კოშკის გარეთა ნაწილებშიც.

კონსტრუქციულ-დაცვით ღონისძიებებთან ერთად სათანადო ყურადღება გავამახვილეთ ციხის მხატვრულ-არქიტექტურულ სახეზე. ანსამბლში კოშკების ვერტიკალური აქცენტები ოდნავ გავაძლიერეთ, აღვადგინეთ სარკმლის ღიობები და საბრძოლო ნიშები. ყოველივე ამან ციხის არქიტექტურული სტრუქტურა შედარებით გასაგები, ხოლო საერთო ლანდშაპტშიც ძეგლი უფრო მეტყველი გახადა.

ასევე საყურადღებო სამუშაოები ჩავატარეთ ზედაციხის აღმოსავლეთ



ნაწილში, სადაც გრაფიკული ფიქსაციის შემდეგ, აღნიშნული გვიანდელი კომპლექსის გარკვეული ნაწილები დავშალეთ და ჩავატარეთ გაწმენდითი სამუშაოები ამის შედეგად მივიღეთ ძალზედ საინტერესო სურათი: ნათლად გამოვჩინეთ თავდაპირველი კომპლექსის კედლების ფრაგმენტები; სამხრეთის მხარეს გამოჩნდა კედლის საძირკვლის მრუდხაზოვანი ნაშთი, რომლის საშუალებით დაზუსტდა გეგმის საერთო კონტური; და რაც მთავარია ჩრდილოეთის კედელსა და კომპლექსის შორის გამოჩნდა ზედაციხის კარიბჭე. ამაზე აშკარად მეტყველებს თავდაპირველი მთლიანი ზღურბლის ქვა და სამხრეთის წირთხლი საურდულე ბუდეოთ.

ამრიგად გამოიკვეთა კომპლექსის მნიშვნელოვანი არქიტექტურულ-გეგმარებითი ხასიათის დეტალი: — ზედაციხის კარიბჭე თავისი საყარაულო კომპლექსით. ძეგლის ეს მონაკვეთიც ნაწილობრივ აღვადგინეთ. თავდაპირველი კომპლექსის კედლები ავიყვანეთ კარების ზედა ნიშნულის დონემდე; ხოლო ცილინდრული კომპლექსი, როგორც გვიანდელი საამშენებლო ფენა, შევიწარმინეთ და დაეცავით კედლის მცირე ფრაგმენტის სახით.

ნაწილობრივი სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოებია გათვალისწინებული ქვედაციხის კედლების ნაშთებზე და პასთან მდებარე კომპლექსის ფრაგმენტებზე. მოსაწყობია ზედაციხეზე ასახვეული ბილიკი და მოსაწყისრიგებელია ტერიტორიის საერთო მდგომარეობა.

ზეგბრის ციხის კომპლექსზე სარესტავრაციო სამუშაოების დამთავრება ნაპირაუდევია 1987 წლის მეორე ნახევრისათვის.

და ბოლოს უნდა აღვნიშნო, რომ ძეგლთა დაცვაში უდავოდ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მათ შემდგომ გამოყენებასა და სწორი ფუნქციის მიცემას. აზრობრივად სწორი ფუნქციის მოძებნა და ძეგლის პარამონიული ადაპტირება ამ ფუნქციაზე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პრობლემატური საკითხია დღეს. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ეს საკითხები, როგორც წესი შეუთანხმდეს ძეგლთა დაცვის მეთოდურ საბჭოს.



**ბეთანიის ტაძრის აკუსტიკის საიტონისათვის**

XII საუკუნის ქართულ არქიტექტურულ ძეგლთა რიგს, რომლებიც მხახველ იპყრობენ ტაძრის შინაგანი სივრცის მხატვრული გაფორმებით, განეკუთვნება მდ. ვერეს ხეობაში თბილისიდან ოციოდ კილომეტრზე მდებარე ბეთანიის ტაძარი. ბეთანიის სამონასტრო ნაგებობებიდან მხოლოდ გუმბათოვანმა ტაძარმა, მცირე დარბაზიანმა ეკლესიამ და სამრეკლოს ქვედა სართულმა მოაღწია ჩვენამდე.

ვახუშტის ცნობით უფრო ადრე იქ არსებობდა აგურით ნაგები შენობა. აღნიშნულ შენობას სრულიად არ შეუშლია ხელი ახალი გუმბათოვანი ნაგებობის ხუროთმოძღვრებისათვის, ასე რომ იგი მხატვრული შემოქმედების მთლიან ჩანაფიქრს წარმოადგენს. XIX ს. დასასრულს, კაპიტალური შეკეთების დროს მთლიანად იყო შებღალული ჭვარ-გუმბათოვანი ნაგებობის ხუროთმოძღვრულ ფორმათა ურთიერთდამოკიდებულება. ნაგებობის შეკეთებამდე გადაღებული ფოტოსურათებითა და ძეგლის მხატვრულ-სტილისტიკური ანალიზის საფუძველზე, ხელოვნებათმცოდნე-რესტავრატორის ვახტანგ ცინცაძის პროექტითა და ხელმძღვანელობით ჩატარდა სარესტავრაციო სამუშაოები, რის შედეგადაც ბეთანიის ტაძარს დაუბრუნდა პირვანდელი სახე.

პროექტით გათვალისწინებული იყო გუმბათის გამაგრება, რისთვისაც კარნიზის უკან ვაკეთდა რკინა-ბეტონის შემყარავი ქაშარი, მასზე დამაგრდა გუმბათის დამხურავი ლითონის ჩონჩხიანი კონუსი. ამ კონუსზე მოეწყო ხის საგებელი, საგებელზე კი თეთრი თუნუქი, ლორფინების მსგავსად.

რაც შეეხება ფასადებს, ცნობილია, რომ ფასადების კეხი საერთოდ გუმბათის ქვედა ქაშარს ებჯინებოდა. (ადგილზე ამის კვალიც იყო შემორჩენილი). ამგვარად კეხის დონე ზუსტად იყო აღდგენილი.

გვერდითა ქანობების მიმართულების კვალი თითქმის ყველა ფასადზე იყო შემორჩენილი, რის საფუძველზეც განხორციელდა სახურავის ქანობები. დაწყობილ იქნა თავდაპირველი კარნიზებიდან აღებული შაბლონით დამზადებული ძველი და ახალი კარნიზები.

სამხრეთის მკლავის ფასადზე მდებარე წყვილი სარკმლის თავზე ჭვარი იყო მოთავსებული. მისი ზედა ნაწილი ადრინდელი შეკეთების დროს კარიბჭის ფრონტონის თავზე გადაიტანეს, ბოლო რესტავრაციის დროს იგი დაბრუნდა თავის ადგილზე.

გუმბათოვან ტაძარში დაცულია ძველი აგურის შენობის ფრაგმენტები და დასავლეთის კარიბჭე საქალის სახით, რომელიც აგებულია 1056-1066 წწ. XII ს. ბოლოს ეს პირვანდელი ნაგებობა ნაწილობრივ დაუნგრევიათ და აუშენებიათ ახალი გუმბათოვანი ტაძარი. კედლის მხატვრობა და მასზე გამოსახული ისტორიულ პირთა პორტრეტებიც ადასტურებს, რომ ტაძარი დაახლ. 1207 წელს უნდა იყოს აშენებული. სამწუხაროდ, გუმბათის მოხატულობა არ შემონახულა, თაღები შეთეთრებულია. ჩრდილოეთის კედელზე ყურადღე-

**ბეთანიის ტაძრის აკუსტიკის საკითხისათვის**

XII საუკუნის ქართულ არქიტექტურულ ძეგლთა რიგს, რომლებიც მნახველს იპყრობენ ტაძრის შინაგანი სივრცის მხატვრული გაფორმებით, განეკუთვნება მდ. ვერეს ხეობაში თბილისიდან ოციოდ კილომეტრზე მდებარე ბეთანიის ტაძარი. ბეთანიის სამონასტრო ნაგებობებიდან მხოლოდ გუმბათოვანმა ტაძარმა, მცირე დარბაზიანმა ეკლესიამ და სამრეკლოს ქვედა სართულმა მოაღწია ჩვენამდე.

ვახუშტის ცნობით უფრო ადრე იქ არსებობდა აგურით ნაგები შენობა. აღნიშნულ შენობას სრულიად არ შეუშლია ხელი ახალი გუმბათოვანი ნაგებობის ხუროთმოძღვრებისათვის, ასე რომ იგი მხატვრული შემოქმედების მთლიან ჩანაფიქრს წარმოადგენს. XIX ს. დასასრულს, კაპიტალური შეკეთების დროს მთლიანად იყო შებღალული ჭვარ-გუმბათოვანი ნაგებობის ხუროთმოძღვრულ ფორმათა ურთიერთდამოკიდებულება. ნაგებობის შეკეთებამდე გადაღებული ფოტოსურათებითა და ძეგლის მხატვრულ-სტილისტიკური ანალიზის საფუძველზე, ხელოვნებათმცოდნე-რესტავრატორის ვახტანგ ცინცაძის პროექტითა და ხელმძღვანელობით ჩატარდა სარესტავრაციო სამუშაოები, რის შედეგადაც ბეთანიის ტაძარს დაუბრუნდა პირვანდელი სახე.


პროექტით გათვალისწინებული იყო გუმბათის გამაგრება, რისთვისაც კარნიზის უკან გაკეთდა რკინა-ბეტონის შემკრავი ქამარი, მასზე დამაგრდა გუმბათის დამხურავი ლითონის ჩონჩხიანი კონუსი. ამ კონუსზე მოეწყო ხის საგებელი, საგებელზე კი თეთრი თუნუქი, ლორფინების მსგავსად.

რაც შეეხება ფასადებს, ცნობილია, რომ ფასადების კეზი საერთოდ გუმბათის ქვედა ქამარს ებჯინებოდა. (აღგილზე ამის კვალიც იყო შემორჩენილი). ამგვარად კეზის დონე ზუსტად იყო აღდგენილი.

გვერდითა ქანობების მიმართულების კვალი თითქმის ყველა ფასადზე იყო შემორჩენილი, რის საფუძველზეც განხორციელდა სახურავის ქანობები. დაწყობილ იქნა თავდაპირველი კარნიზებიდან აღებული შაბლონით დამზადებული ძველი და ახალი კარნიზები.

სამხრეთის მკლავის ფასადზე მდებარე წყვილი სარკმლის თავზე ჭვარი იყო მოთავსებული. მისი ზედა ნაწილი აღრინდელი შეკეთების დროს კარიბჭის ფრონტონის თავზე გადაიტანეს, ბოლო რესტავრაციის დროს იგი დაბრუნდა თავის ადგილზე.

გუმბათოვან ტაძარში დაცულია ძველი აგურის შენობის ფრაგმენტები და დასავლეთის კარიბჭე საძვალის სახით, რომელიც აგებულია 1056-1066 წწ. XII ს. ბოლოს ეს პირვანდელი ნაგებობა ნაწილობრივ დაუნგრევიათ და აუშენებიათ ახალი გუმბათოვანი ტაძარი. კედლის მხატვრობა და მასზე გამოსახული ისტორიულ პირთა პორტრეტებიც ადასტურებს, რომ ტაძარი დაახლ. 1207 წელს უნდა იყოს აშენებული. სამწუხაროდ, გუმბათის მოხატულობა არ შემონახულა, თაღები შეთეთრებულია. ჩრდილოეთის კედელზე ყურადღე-




ბეთანაის ტაძრის კრილი.

Бетания. Разрез.

ბას იპყრობს გიორგი მესამის, თამარის და ახალგაზრდა გიორგი ლაშას გამოსახულებანი. ამრიგად, ქერი და კედლები ტაძარში წარმოდგენილია აგურზე დაბათქაშებული ზედაპირებით, რომელთა გარკვეულ ნაწილს შემორჩენილი აქვს კედლის მხატვრობა. იატაკი ტაძარში ქვისაა. ტაძრის შიგა მალღივი და ხილვითი სივრცე კარგადაა განათებული გვერდითი კედლებისა და გუმბათის ყელის სარკმლებიდან უხვად შემოსული შუქით. ამ სტატიის ერთერთი თანაავტორი სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტი თ. ჯავაშვილი დინტერესდა რა ტაძრის აკუსტიკის საკითხით, ისარგებლა მ. კალაშნიკოვისა და ი. ერნის მიერ შედგენილი ანაზომებით (ნახ. 1, 2) და დაადგინა, რომ ტაძრის ძირითადი დარბაზის სიგრძე ტოლია 14.71 მ., სიგანე 11.72 მ. სიმაღლე კი 11 მ. ზოლო გუმბათის სიმაღლე 22.5 მ. ამ მონაცემების საფუძველზე დარბაზის მთლიანი მოცულობა შეადგენს 1800 მ<sup>3</sup>. იმ წერტილებისათვის, რომლებიც ბგერის წყაროდან დაცილებულია 8 მეტრზე მეტ





ბეთანის ტაძრის გეგმა.

Бетания. План.

მანძილით, არეკლილი და პირდაპირი სხივების სვლათა სხვაობა 7 მეტრზე ნაკლებია, რითაც აუცილებელია ამ ადგილებში ექოს წარმოშობის შესაძლებლობა. გუმბათის ჩაზნექილობის სიმრუდის რადიუსი საკმაოდ მცირეა, რის გამოც არეკლილ ბგერათა ფოკუსირება ხდება დარბაზის ზედა ნაწილში.

ვისარგებლეთ რა ლიტერატურაში ცნობილი მეთოდებით შევეცადეთ დაგვედგინა ტაძრის რევერბერაციის დრო. როგორც ცნობილია, რევერბერაციის დროის განტოლებას ეკლესიებისათვის აქვს შემდეგი სახე<sup>1</sup>.



$$T_{0.1} = 0.1 = \sqrt[3]{V}$$

ჩვენს შემთხვევაში ვლუბლობთ.  $T_{0.1} = 0.1 \sqrt[3]{1800} = 1.2$

იგივე შედეგს მივიღებთ, თუ მოვახდენთ მოცემული სიდიდის განსაზღვრას გალოგარითმების შედეგად.

ჩვენს მიერ გათვლილი რევერბერაციის დროის მნიშვნელობა აღნიშნული მოცულობისათვის შეესაბამება დარბაზში მეტყველების ან მსუბუქი მუსიკის შესატყვის რევერბერაციის რეკომენდირებულ დროის მნიშვნელობას.

რევერბერაციის დრო გათვლილ იქნა აგრეთვე აკუსტიკაში ცნობილი თანაბარი ფართობების მეთოდის გამოყენებით, რომლის შედეგები წარმოდგენილია თანდართულ ტაბულაში.

ზედაპირის დასახელება	S მ <sup>2</sup>	125 ჰც		500—2000	
		α	α S	α	α S
დამბრუნებული კერი და კვლები . . . . .	746	0,02	14,93	0,03	22,4
ქვის იატაკი . . . . .	183	0,01	1,73	0,01	1,73
კარებები . . . . .	15	0,08	1,20	0,08	1,2
Σ S . . . . .	934		17,25		25,17
პანელი (თხა) . . . . .	5	0,25	1,25	0,65	3,55
ლიობი . . . . .	222	0,3	66,6	0,4	88,8
შაუტრებელი 100 % . . . . .	363	0,25	90,75	0,4	145,2
A . . . . .			175,85		262,7
α . . . . .			0,188		0,281
$-\ln(1-\alpha)$ . . . . .			0,216		5,330
$T = \frac{0,168 \cdot V}{\sum S \ln(1-\alpha)}$			1,4		1,0

ამ შემთხვევაში რევერბერაციის დრო მიიღება თითქმის იგივე სიდიდის, ჩვენს მიერ მიღებული რევერბერაციის დროს 1.2—1.4 წამი მოცემული მოცულობის დარბაზისათვის შეესაბამება მეტყველების დანიშნულების დარბაზის რევერბერაციის დროს, რაც უნდა მიგვანიშნებდეს ამ დარბაზის კარგ აკუსტიკაზე.

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს პირველ ცდას ჩვენს მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ისტორიულ არქიტექტორული ძეგლების აკუსტიკის შესწავლის საქმეში და ცხადია იგი არ იქნება მოკლებული იმ ცდომილებებს, რომლებიც უნდა ვიფიქროთ, რომ მას ახლავს.

1. ლ. კონტური აკუსტიკა მშენებლობაში, რუსულ ენაზე, თარგმანი ტრანსელიდან ა. რაბინოვიჩის, მშენებლობის, არქიტექტურის და სამშენებლო მასალების ლიტერატურათა სახელმწიფო გამომცემლობა, მოსკოვი, 1960, გვ. 65.

**იგოეთის „საბაჟოს“ წარმოქმენისათვის**

ნატატარ-გორის საავტომობილო გზატკეცილიდან მარცხენა მხარეს, 30 კმ-ზე გაშენებულია სოფელი იგოეთი. გზის ერთი ასაქცევი იგოეთზე გავლით ქ. კასპისაკენ მიდის, ხოლო მეორე ხელმარჯვნივ სოფ. ლამისყანისაკენ. იგოეთის გზასაყარიდან აღმოსავლეთით 800 მეტრზე მცირე ზომის ერთნაივან ბაზილიკასთან — „წითელ საყდართან“ მგზავრები ზურდა ფულს ყრიან, თითქოსდა იხდიან გზაზე გავლის ქირას. ამ ადგილს მოსახლეობაში „საბაჟოს“ უწოდებენ. ისმის კითხვა? როდის უნდა ჩასახულიყო ეს ტოპონიმი და რა იყო „საბაჟოს“ წარმოქმენის საფუძველი.

ჩვენი ყურადღება აღნიშნულ საკითხზე მიიქცია ერთმა ფაქტმა, კერძოდ, „საბაჟოსთან“ მისვლამდე 50-60-იოდე მეტრზე, გზიდან ხელმარცხნივ, თავდაღმართში ძველი ნაგზაური (საურმე გზა) ჩადის, რომელიც გამოდის წლევის მთის ჩრდილო-დასავლეთ კალთებსა და დღევანდელ საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეზე არსებულ გორაკებს შორის. ნაგზაური ხევში ვიწრო გასასვლელს ქმნის. ამ ბუნებრივ „კლდეკარს“ კასპის მცხოვრებლები ოკამის გადმოსასვლელს უწოდებენ — ხოლო ოკამელები კასპის გადასასვლელს<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, ოკამის გადმოსასვლელი და ტოპონიმი „საბაჟო“ ერთი და იმავე ადგილზეა აღმოცენებული და ვფიქრობთ, ამ ტოპონიმის წარმოქმნა კასპში ოკამის გადმოსასვლელით უნდა იყოს განპირობებული.

ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ქალაქი კასპი გვიანფეოდალურ ხანაში ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით... „აწ არს დაბა დიდი“<sup>2</sup>, ხოლო 1391 წლის 1 დეკემბრით დათარიღებული ქართლ-კახეთ-მცხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარის მიხედვით სოფელთა რიგშია მოხსენიებული<sup>3</sup>. არქეოლოგიურ კვლევა-ძიების საფუძველზე გვიანფეოდალური ხანის კასპი, გარდა თვით სოფელი კასპისა, რამდენიმე მცირე მასშტაბის სოფლებს აერთიანებდა, ამის დასტურია: ქეჩორუხის, ვარჯანის, ლეგასა და შთავარანგელოზის ტერიტორიებზე მოკვლეული სამაროვნები და ნაშთსახლარები<sup>4</sup>.

აღნიშნული მატერიალური დასაბუთება კარგად ეთანხმება 1595 წლით დათარიღებულ ქართლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში დაცულ ცნობას „კასპი სოფელნი მათითა სოფლითა“<sup>5</sup>.

ცნობილია, რომ ფეოდალურ ხანაში საეპრო ურთიერთობანი შეზღუდული იყო. მიუხედავად ამისა, კასპის საეპრო ადგილის ფუნქციონირება (მცირე მასშტაბის) ექვს არ უნდა იწვევდეს. ისმის კითხვა, რატომ გაჩნდა „საბაჟო“ ოკამის კასპში გადმოსასვლელის სიახლოვეს და არა სოფ. იგოეთთან? ამის მიზეზი ერთი შეხედვით ფეოდალურ დაქუცმაცებულობაში უნდა ვეძიოთ.<sup>6</sup> სოფელი იგოეთი, ისევე როგორც კასპი, სამილახვროში (XV-XIX ს. დასასრულამდე) ერთიანდებოდა, ხოლო ოკამი ვახუშტი ბატონიშვილის „მუხრანის სამთავროს“ აღწერაში სამუხრანბატონოში შედის<sup>7</sup>. როგორც ვხედავთ ოკამის სამხრეთ დასავლეთი ნაწილი საზღვარს წარმოადგენდა სამილახვროსა და



საქართველოს  
ისტორიის  
ინსტიტუტი

იგოზი. „წითელი საეღარი“. VI-X სს.  
რესტავრაციის შემდეგ.

იგოზი. «Красная церковь» VI—X вв.  
после реставрации.

სამუხრანბატონოს შორის და შესაძლებელია მოცემულ ხანაში ოკამის გადმოსასვლელი — კასპში გამხდარიყო პირობა „საბაეოს“ წარმოქმნისა.

აქვე შევნიშნავთ, რომ ოკამი XVII საუკუნის სამილახეროს შემორჩენილი დაეთრის მიხედვით სამილახეროში ერთიანდებოდა<sup>9</sup>. ამის გამო ოკამის გადმოსასვლელი — „საბაეოს“ წარმოქმნა ფეოდალურ ხანაში ნაკლებ საფუძვლიანია, რადგან ამილახერები არ დასევამდნენ „საბაეოს“ მუხრანბატონებთან საცილო ადგილზე და თუ ეს ფუნქციონირებდა მოკლე ვადით (მუხრანის ჭვეყანასთან ურთიერთობაში) ტოპონიმის წარმოქმნისათვის მყარი საფუძველი ვერ გახდებოდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ელინისტურ ხანაში ქართლზე გადიოდა საერთაშორისო სავაჭრო გზა ინდოეთიდან შავი ზღვის მიმართულებით. ეს გზა მცხეთა-თბილისის რაიონებიდან ქართლის დასავლეთ ნაწილში ქსნის ხეობის გავლის შემდეგ (იგოეთზე და გორზე) დასავლეთ საქართველოსაკენ მიდიოდა<sup>9</sup>. ნ. ბერძენიშვილი ამ გზას (მუხრან-ძალისა-წილკანი) შიდა ქართლის უმთავრეს გზას უწოდებს... ამის საბუთად ასახელებს სოფელ მისაქციელს. რომელიც თავისი სახელწოდებითაც უჩვენებს თუ საიდან მოდიოდა მთავარი გზა<sup>10</sup>. გ. მელიქიშვილის განმარტებით, თუ საერთაშორისო სავაჭრო გზა არსებობდა, იგი ყოველ შემთხვევაში, გვიანელინისტურ ხანამდე ნაკლებად გამოიყენებოდა. რომაულ ხანაში ამ გზის მიმართ ინტერესი იზრდება და უკავშირდება რომაელთა გეგმებს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დამაკავშირებელ, პართიანზე და სომხეთზე გამავალი საერთაშორისო სავაჭრო გზის ნაცვლად, რომელსაც პართიასთან ურთიერთობის გამო მწყობრიდან გამოსვლა ელოდა<sup>11</sup>.

სწორედ რომაულ ხანაში ხდება ამ მხარის ეკონომიური დაწინაურება, რომლის მათწყებელია გზის ამ მონაკვეთზე ქალაქებისა და საქალაქო ტიპის დასახლებათა წარმოქმნა-დაწინაურება<sup>12</sup>. მეორეს მხრივ, საერთაშორისო გზის



ამ მონაცემთა გვერდი აუარა უძველეს ქართულ ქალაქებს და მათ შორის კასპს, რამაც გამოიწვია მათი პოლიტიკურ-ეკონომიური, კონკურენტუნარიანობის საეკონომიური ცენტრის დაქვეითება.

საყურადღებო დაკვირვება აქვს შიდა ქართლის მთავარი მაგისტრალის მიმართულების შესახებ მკვლევარ ჯ. გვასალიას. იგი აღნიშნავს: მაგისტრალი ქსოვრისთან ქსანს გადაკვეთდა... და თეზი-ოკამის გავლით მიემართებოდა იგოეთისაკენ. (შესაძლოა სამთავისისაკენ უქცევდა). გვიანდელ ხანაში აქ გამოავლი გზის უტყუარ ნიშნად გამოდგება ტოპონიმი „საბაყო“<sup>13</sup>.

მართებულია მკვლევარის დაკვირვება, მხოლოდ ეს მაგისტრალი თეზი-ოკამის გავლის შემდეგ მიემართებოდა „ნაქალაქიანთ ხევით“<sup>14</sup> სამთავისისაკენ და არა იგოეთისაკენ.

ზემომოყვანილი მასალები ტოპონიმ „საბაყო“-ს და ოკამის გადმოსასვლელის იდენტურობას ადასტურებს. ამასთანავე უფრო სარწმუნო უნდა იყოს „საბაქოს“ ფუნქცია, რომელ ხანაში ჩასახულიყო.

ეფქტობით, საეპროდ შესვლა მოცემულა ეპოქის კასპში — ქალაქსა და პოლიტიკური ერთეულის „კასპის სასპასალაროში“ ქიჩით — ბაჟით განისაზღვრებოდა.

1. ოკამის გადმოსასვლელი და კასპის გადასასვლელის შესახებ ცნობების მოწოდებისათვის უღრმეს მადლობას მოვასენებ ქ. კასპის მკვიდრს გრიგოლ (ლაბუა) შალვას ძე ნონიაშვილს.

2, 6, 7. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 72, 109.

3, 5. ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 179, 266.

4. მითითებული ნასახლარები მიკვლევულია და ზოგი მათგანი შესწავლილია წერილის ავტორის მიერ.

8. საქ. ცენტ. არქივი. ფ. 1448 საბ. № 5032. ვისარგებლობ ქ. გვასალიას ნაშრომით — აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 94.

9. ნ. ლომოური ძველი საქართველოს საეპრო გზების საკითხისათვის, ინსტიტუტის შრომები, IV ნაჯ. I, თბ., 1958.

10. ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფერცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. ტ. I, თბ., 1969, გვ. 163.

11. გ. მელიქიშვილი, საქართველო I-III საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970, გვ. 502-503.

12. ალ. ზოზიჩაძე, არქეოლოგიური გათხრები ალაიანსა და ძალისში, თბ., 1981, აგრეთვე ნ. შირიანაშვილი. შიდა ქართლის პატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1983

13. ჯ. გვასალია, ქსანის ზეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული III, თბ., 1967, გვ. 20.

14. „ნაქალაქიანთ ხევი“ მდებარეობს სოფ. იგოეთიდან ლამისუანისაკენ მიმავალ გზაზე, დაახლ. ერთ კილომეტრზე. ნახაური დღესაც შემორჩენილია. ამ ადგილებში დადასტურებულია გვიანტიკური ხანის კულტურული ფენები.

„ლენკვერ“-ის ციხე უშგულში


ზემო სევანეთის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვართანაა განლაგებული ე. წ. უშგულის საზოგადოების ოთხი სოფელი: ვიზიანი, ჩუბიანი, ჩაქაში და მურყმელი. უშგულის სამხრეთ-აღმოსავლეთით ამართული მაღალი ქედის ერთ-ერთი განშტოების დამასრულებელი კონცხის თავზე აგებულია ციხე-სიმაგრე, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობაში, ადგილის სახელწოდების შესაბამისად (ლენკვერ) ლენკვერის ციხის ან უფრო სწორად ლენკვერის კოშკების (ლენკვერი მურყმარ) სახელწოდებითაა ცნობილი. ციხე-სიმაგრე სოფლებს დაცილებულია დაახლოებით 1,5 კმ-ით.

უშგულში ნამყოფი გ. ი. რაღე ციხე-სიმაგრეს „ლენკვერის ციხის“ სახელით მოიხსენიებს და აღნიშნავს, რომ იგი თამარის დროსაა აგებული. პ. უჯაროვას ჩანაწერით უშგულის მიმდებარე ერთ-ერთ ტყიან გორაკზე ამართულია თამარის ციხე კოშკებისა და კედლებსა წარჩენებით.<sup>2</sup> ეგნატე ვაბლიანის მიერ ჩაწერილი ლეგენდით უშგულში დაბინავებულ თამარ მეფეს ერთ მაღლობზე დიდი ციხე-სიმაგრე აუშენებია.<sup>3</sup> ბ. კოვალევსკის მასალით აღნიშნული სიმაგრე თამარის საზაფხულო რეზიდენცია ყოფილა.<sup>4</sup> ს. ანისიმოვსაც კარგად შეუმჩნევა უშგულში სევანეთის ქედის ფერდზე ცალკე მდგომი სამკოშკიანი, კედლებით შემოზღუდული ფორპოსტი.<sup>5</sup>

მათლაცდა, ძეგლის მდებარეობა სტრატეგიული თვალსაზრისით იდეალურადაა შერჩეული. იგი თითქმის ყველა მხრიდან მიუდგომელია და ძლიერაა გამაგრებული კოშკებით. სიმაგრიდან 200-დე მ-ის დაცილებით კეისრის წყლის წყაროს (კესრი ლიე) სახელწოდებით ცნობილი წყარო გადმოედინება კლდიდან.

ძეგლი ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენაა წაგრძელებული. მისი სიგრძე 54 მ-ს შეადგენს. ხოლო სიგანე ყველაზე განიერ ადგილას 23 მ-ს აღწევს. სიმაგრის გრძივ განაპირა კიდურებში თითო კოშკია აგებული. ჩრდილო-აღმოსავლეთის გალავნის გრძივი კედლის ცენტრალურ ნაწილთან ერთი მცირე ზომის მქონე კოშკის ქვედა ნაწილია შემორჩენილი. საშენ მასალად კლდის ქვაა გამოყენებული (მეტწილად ფიქალი), შემკრავად კი კირის ხსნარი. კედლები შეუღესავია.

გალავნის კედლების სისქე 1-მ. აღწევს, ხოლო შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე — 6 მ-ს. გალავნის სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელში კარის ღიობია დატოვებული, რომლის წირთხლებს გარეთკენ ნაოთხალები აპყვება. გალავნის ჩრდილოეთის კედელში სათოფურია და ერთი კარის ღიობის ნაშთი შეიმჩნევა მიწის დონიდან 3 მ-ის სიმაღლეზე. სავარაუდებელია, რომ კედლის ამ ნაწილთან საცხოვრებელი სახლი იდგა, რომელშიც ხსენებული კარის საშუალებით შედიოდნენ. გალავნის აღმოსავლეთის კედელში გაკეთებული უნაოთხალებო კარი უშუალოდ მიწის დონეზეა. კედლის სამხრეთის ნაწილისაგან ჩვენამდე არაფერს მოუღწევია. ამ მხრიდან სიმაგრეში შედიოდა სამარხილე გზა, რომლის ნაშთები ჯერ კიდევ შეიმჩნევა მთის ფერდზე.




სურ. 1. ციხის გეგმა.

Рис. 1. План замка.

სურ. 2. სამხრეთის ფასადი.

Рис. 2. Южный фасад.



ციხე-სიმაგრის ჩრდილო-დასავლეთის შევიწროებულ ნაწილს აკვირგვი-  
ნებს ნახევრადდანგრეული კოშკი. იგი გეგმაში კვადრატული მოხაზულობისაა  
(4,8×4,8). კოშკისგან მხოლოდ ნაწილობრივ დანგრეული ორი სართულია  
დარჩენილი. პირველი სართულის დასავლეთის კედელში სათოფური ხვრელია,  
რომელიც ამ მხრიდან ამოშავალ სამარხილე გზისკენაა მიმართული. მეორე  
სართულის სამხრეთის კედელში კარის ღიობია.



გალაენის ჩრდილოეთის გრძივი კედლის ცენტრალურ ნაწილში აგებული კოშკი განსაკუთრებით მცირე ზომებით გამოირჩევა. იგი გეგმაში ორჯერწევრული ძელებული მოხაზულობისაა (3,6 X 3,1 მ). მისი სიმაღლის 6,5 მ-ია. მშენებლობა ნილი. სარკმელი არ გააჩნია. კოშკში შესასვლელი მეორე სართულის დონეზეა შიდა ეზოს მხრიდან. კარის წირთხლებთან გარეთევენ ქვითკირის მასიური ნაოთხალებია გამოყოფილი. წირთხლებში საურდულე ხერელებია. ჩრდილოეთის კედელში დიდი ზომის ნაშია გაკეცილებული. მეორე-მესამე სართულებს შორის სართულშუა გადახურვა გუმბათისებურია. მესამე სართულის კედლები ნახევრად ჩამონგრეულია. მეორე-მესამე სართულებს შორის კავშირი საკმაოდ დიდი ზომის სწორკუთხა საძრომის საშუალებით ზორციელდებოდა.

როგორც აღინიშნა, ადგილი ციხე-სიმაგრის ასაგებად. სტრატეგიული თვალსაზრისით იდეალურადაა შერჩეული. აქედან შორ მანძილზე ჩანდა ენგურისა და ქვიშორის ხეობები მათზე გამავალი საგზაო კომუნიკაციებით; აგრეთვე კავკასიონისა და სვანეთის ქედები უმაღლესი უღელტეხილებითურთ. საყარაულო დანიშნულების გარდა ციხე-სიმაგრე საფრთხისას მოსახლეობის თავშესაფრადაც გამოიყენებოდა. რაც შეეხება ძეგლის დათარიღებას იგი გვიანფეოდალური ხანის ნაგებობებს მიეკუთვნება.

1 Путешествие Г. И. Радае, ЗКОРГО, кн. VII, вып. I, Тифл., 1966, стр. 110.  
 2 Поездка в Пшавнию, Хевсуретию и Сванетию графини Уваровой, МАК, вып. X, М., 1904, стр. 36.  
 3 ვგნ გაბლიანი; ძველი და ახალი სვანეთი, ტფ., 1925, 4.  
 4 Б. Ковалевский, Страна снегов и башен, Л., 1930, стр. 79.  
 5 С. С. Анисимов, Сванетия, М., 1940, стр. 83.





**ამროლვანთა X საუკუნის საქტიტორო წარწერები ჩვაბიანის  
მაცხოვრის ეკლესიიდან**

ზემო სვანეთის მუქალის თემის სოფელ ჩვაბიანის მაცხოვრის ეკლესი-  
ის კედლის მხატვრობა და საკურთხეველის ფრესკული წარწერები კარგა ზა-  
ნია ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში.<sup>1</sup> მათი თარიღის საკითხი სა-  
მეცნიერო პოლემიკის საგნადაც იქცა.<sup>2</sup> ამავე დროს წარწერის წაკითხვა ვამ-  
ნელელებული იყო ფერწერული ფენის უკიდურესი გაჭვარტლულობისა და და-  
ზიანების გამო.

ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების  
მთავარი სამმართველოს სპეციალურ სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარ-  
მოო გვერთიანების რესტავრატორთა ჯგუფმა (ხელმძღვანელი გურამ ჭეი-  
შვილი) 1984-85 წწ. გავწმინდეთ და გაეამაგრეთ ჩვაბიანის ეკლესიის კედ-  
ლის მხატვრობა. შესამღებელი გახდა წარწერების ფოტოგრაფირება და პი-  
რების გადმოღება, რაც თავისთავად მათი ტექსტის დაზუსტების საშუალებას  
იძლევა.

ქვემოთ ვაქვეყნებთ საკურთხეველის სამ საქტიტორო წარწერას, სამივე  
წარწერა გამოცემულია.

I. ცხრასტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, მოთავსებულია ეკლესიის  
სამხრეთ კედელზე, საკურთხეველის სატრიუმფო თაღის შიდაპირზე, იმპოსტის  
ზემოთ. წარწერა შესრულებულია თეთრი ფერის საღებავით შავ ფონზე. წარ-  
წერის მარცხენა ნაწილში საღებავი ჩამორეციხილია და ყოველ სტრიქონში  
ორი-სამი საწყისი ასო ნიშანი აღარ არსებობს.

II. მეორე წარწერა მოთავსებულია ზემოთ განხილული წარწერის ქვეშ.  
წარწერა იწყება პილასტრის იმპოსტზე (პირველი სამი სტრიქონი) და გრძელ-

[ჰ:]ტყუზიღც იღუსაღც  
[ჰტჰ]ტსსუაღცაღცსს ზესიჟ  
[სს]ტტყუაღც წაღსიჟსჟ  
[სტ]აღცჰასსტყუზაღც  
[ს]ტჰტყუაღცჰყუაღცთჟ  
[რ]სყსსტჰასსტღღთჟ  
[რ]აღცჰტაჟყუაღცთ ყსსს  
[ი]აღცყსტაღცსტჰსს  
[რ]აღცსსსსსსსსსსსს

ღაზარე მამახალიძის საქტიტორო  
წარწერა.



Ктиторская надпись.





ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

ქ. საბელით (ა)ლ(მრ)თისაჲთა  
[მამ]ს(ა)ხლისობასა ლ(ა)ზ(ა)რე  
[სს] ა აუშენა წ(მიდა)ჲ ესე ეკლე  
[სია]ჲ და მისსავე ზეობა  
[სკ]ა მოიწერა ქ(რი)ტე შეო(ვ)ნდვ

[ენ]ს(ო)ვლისა მისსა ცოდვა  
[ნი] და მარჯ(ო)ვენით შ(ე)ნსა  
[ლი] რს ყავ დღესა მას გ(ა)ნ  
[კო]თხვისასა: ა(მ)ენ

† სჲქ[ი]წ[ი]ნოც იბრსა  
ბ[ი]რსა ხრ ბჲქ[ი]ღ[ი]წ[ი]ნოც  
ს[ი]წ[ი]ნოც ბჲქ[ი]ნოც ყრბო  
ტბჲქ[ი]ნოც ბჲქ[ი]ნოც  
ღკღკტბტბნწიღკღკღკღკ  
სტბ ბტბტბტბტბტბტბ  
ბტბ ტბტბტბტბტბტბ  
რბტბტბტბტბტბტბ  
ტბტბტბტბტბტბტბტბ  
...გ ... მესა ... ეს  
... დ ... ესე ... დ ...  
..... ჩ(უ)ენთა...

ქ. საბელითა ლ(მრ)თისაჲ  
თა ჩ(უ)ენ ამროლენთა  
ს[ქ]მთა ძმთა ბენდეს  
ამროლას და მიქაელს მო  
გოკვა ძალი ლ(მერთმა)ნ უმკობე  
სად მამ(ა)თა ჩ(უ)ენთაჲსა  
და აღვაშენეთ წ(მიდა)ჲ ესე  
ეკლესიაჲ სალოცველ(ა)დ  
ს(ო)ვლისა ჩ(უ)ენისა და მოე  
წერეთ ზეობასა [...]  
აღვ(ა)ზთა შეფისა ქ(რი)ტე)ად  
იღ[ქ]და ერისთ (ა)ვობასა  
[....]სსა პფარავსქძ  
ა[ლი მას] ლ(მრ)თ[ისაჲ]აშე ...  
... გ ... მესა ... ეს  
... დ ... ესე ... დ ...  
..... ჩ(უ)ენთა...

ლ(მრ)თისაჲ  
ს  
... ი  
თმს  
აე... ლი ჩირ  
იღამლ ი  
ბ


[ი]ღ[ქ]და  
ს  
ქ  
ბ[ი]რსა  
ტბტბტბტბ  
წი

სამი ძმა ამროლენის  
საქტიტორი წარწერა.

Ктиторская надпись трех братьев  
Амролеани.

დება პილასტრზე, სადაც უნდა ყოფილიყო კიდევ 22-25 სტრიქონი. წარწერა შესრულებულია თეთრი საღებავით შავ ფონზე. წარწერა ძველქართული ზიანებულია, როგორც ჩანს, წაკითხვის დროს სისტემატიური დამტყუარების შედეგად. ამავე მიზეზით სავსებით ჩამორეცხილია წარწერაში მოხსენიებული აფხაზთა მეფისა და ერისთავის სახელები მე-10 და მე-12 სტრიქონებში\*.

ბოლო სტრიქონები, როგორც ჩანს დაზიანდა უშთავრესად იმის გამო, რომ კედელზე აყუდებდნენ კანკელის არქიტრაფზე დალაგებულ ხატებს, რომელთაც ხანდახან კედელზე აჭედებდნენ კიდევაც. ბათქაშის ფენა წარწერის შუა ნაწილში ამის გამო ამოტეხილია.



სამი ძმა ამროლენის საქტიტორო წარწერა

Ктиторская надпись трех братьев Амролеани.





დაპირველი წარწერა მეოთხე სტრიქონში მეშვიდე ასო-ნიშნის ქვეშ და შემდეგ, აგრეთვე მეხუთე სტრიქონის დასაწყისში. გადაწვეული ირჩევა წარწერის დასაწყისშიაც, ქანწილისა და პირველი „ონ“-ის ქვეშ. ქვედა წარწერა შესრულებული ყოფილა შავ ფონზე, თეთრი, მოცისფრო საღებავით. შემდეგ ზედ გადაუსვიათ შავი ფერი და განუახლებიათ წარწერა, ისევე თეთრი, ოღონდ ამჟერად ოდნავ მოყვითალო თეთრი ფერით. ორივე ფენის წარწერის ხელი და მანერა ერთნაირია და სტრიქონი სტრიქონს ემთხვევა, ისე რომ ხანდახან წარწერის ორი ფენის ერთმანეთისაგან გარჩევა ძნელდება. წარწერა რეასტრიქონიანია. მას შუაზე ჰკვეთს კედლის ვერტიკალური ბზარი.

მეოთხე და მეხუთე სტრიქონებს ქვეშ ირჩევა თავდაპირველი წარწერის კვალი. იკითხება:

4. [.....] ოცქ'

და ოფ  
და შეიღნი მა...

5. ოც ყოუზნი მ[...]

ეკლესიის მხატვრობის რესტავრაციის დროს დარბაზის ჩრდილოეთის კედელზე გაიწმინდა მწვანე ფონზე წითელი ფერით შესრულებული ძალზე ფრაგმენტირებული (8-10 სტრიქონიანი) წარწერა. წარწერა დღემდე უცნობია, იგი ჩვენის აზრით ეკლესიის დარბაზის მხატვრობის შესრულების დროინდელი უნდა იყოს (შესაძლოა XVI საუკუნისა).

მიუხედავად იმისა, რომ წარწერა, განსაკუთრებით მისი შუა ნაწილი უკიდურესად ფრაგმენტირებულია, მაინც შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი მხატვართა მოსახსენებელი უნდა იყოს.

\* უნდა შევნიშნოთ, რომ საღებავით შესრულებული წარწერების დასველება, რასაც, სამწუხაროდ, დღესაც საკმაოდ ხშირად მიმართავენ ზოლმე მათი ამოკითხვის დროს, სრულიად დაუშვებელია.

1. სილოგავა ე. — ქტიტორთა ფრესკული წარწერები ზემო სვანეთში. სვანეთი 1, შპა-ლები მატერიალური და სულიერი კულტურის შესწავლისათვის, თბილისი, 1977; გვ. 46-50;  
2. ალექსიძე ზ. ნ. ჩვაბიანის მაცხოვრის ეკლესიის ფრესკული წარწერების თარიღის — მაცნე, 3, 1976..



თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობა. ფოტო ერმაკოვის აღბოშიდან.

Тбилисский театр оперы и балета. Фото из альбома Эрмакова.

მადლენა მირიანაშვილი, კათევან მუშაშვიანი

**ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შენობა ასი წლისაა**

თბილისში ბევრი მნიშვნელოვანი და ამავე დროს საინტერესო ისტორიული წარსულის მქონე არქიტექტურული ძეგლია. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსთაველის პროსპექტის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შენობა. მას 1987 წელს ასი წელი უსრულდება. შენობის ფასადს სამი თალი ამკობს. შუა, დიდი ზომის ცენტრალური თალის მარცხენა მხარეს, ზედა კუთხეში, ადამიანის თვალისათვის ძნელად შესამჩნევად, ხვეული ჩუქურთმების ქარვასი, ქვაში ამოკვეთილია ციფრი „18“, მეორე კუთხეში — „87“. ეს იმაზე მიუთითებს, რომ 1887 წელი თეატრის შენობის გარეგანი მხარისა და ფასადის მოპირკეთების დამთავრების თარიღია (შიდა სამუშაოები გვიან დამთავრდა). შენობა რუსთაველის პროსპექტზე 1887 წ. დგას.

დღევანდელი შენობის აგებამდე, თბილისის თეატრი თამაშშევის ქარვასლაში იყო მოთავსებული (იგი ლენინის მოედანზე, ქალაქის საბჭოს შენობის ადგილზე მდებარეობდა). ეს პატარა და მშვენიერი თეატრი საყოველთაო მოწონებას იმსახურებდა. ქალაქში ჩამოსული უცხოელი სტუმრები თეატრის შენობის ნახვისას აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. ცნობილია, თუ როგორ მოხიბლა ფაქიზი გემოვნებით შესრულებულმა სათეატრო შენობამ დიდი ფრან-



გი მწერალი ალექსანდრე დიუმა, რომელმაც განაცხადა: თბილისის თეატრში, რომელიც დარბაზისთანავე თვალწარმოქმნის დარბაზი სხვაგან არსად მინახავს.

თბილისის თეატრში იდგმებოდა ოპერები, მათ შორის „ნორმა“, „ტრუბადურა“ და სხვა. საგანგებოდ ჩამოდიოდნენ ცნობილი იტალიელი მომღერლები. ერთი სიტყვით, ქალაქში ყვაოდა და ჩქეფდა საოპერო ცხოვრება. 1874 წ. თეატრი მოულოდნელად ხანძარმა შთანთქა. თეატრის მოყვარულ საზოგადოებას, ცხადია, ვაუჭირდა მის გარეშე ცხოვრება. სწორედ ამიტომ, ახლის აშენების იდეა მაშინვე გაჩნდა. თამამშევემა ძველ ადგილას თეატრის აღდგენაზე უარი განაცხადა. სამაგიეროდ, ადგილის საფასურად მან ხაზინას 150000 მან. გადაუხადა. ეს თანხა დაედო შემდეგ საფუძვლად ახალი თეატრის აშენებას. იგი სახაზინო ხარჯით უნდა აეგოთ, რისთვისაც 250000 მან. გამოიყო. იმ დროისათვის გრანდიოზული მასშტაბის, კარგად ნაშენი ახალი თეატრი უნდა აგებულყო შესაფერის თავისუფალ ადგილზე, რომელიც სავაჭროებითა და დუქნებით აღარ იქნებოდა გარშემორტყმული. ამისათვის ქალაქის ცენტრში ოთხი სხვადასხვა ადგილი შეარჩიეს. რომელთაგან უპირატესობა თეატრის დღევანდელ ადგილმდებარეობას მიეცა. იგი კერძო მესაკუთრეებისაგან — ზუბალაშვილებისა და სხვა პირთაგან შეიძინეს.

ძველი თეატრის დაწვით გამოწვეული დანაკლისი იმდენად დიდი იყო, რომ მის ასანაზღაურებლად, მომავალ თეატრის პროექტის შედგენამდე წინასწარ გადაწყვიტეს, ძველის მსგავსად, ახლის აგების დროსაც ისევ ეგრეთწოდებული „მავრული“ სტილი დაეცვათ. ძველისაგან განსხვავებით ახალ თეატრს უნდა ჰქონოდა, როგორც არქიტექტურულ ნაგებობას — მეტი მომხიბვლელობა; შიდა ნაწილის მოპირკეთებას — მეტი სილამაზე; დარბაზს, მსურებლის განლაგებისა და ხედვის მხრივ — მეტი მოხერხებულობა; აკუსტიკას — მაღალი დონე. აქ წამოყენებული ძირითადი პირობების გათვალისწინებით უნდა შეედგინათ მომავალი თეატრის შენობის პროექტი. 1876 წ. სწორედ ამ მიზნით საგანგებოდ მოწვეულ არქიტექტორებსა და მხატვრებს შორის გამოცხადდა კონკურსი. 1877 წ. 1 იანვრისათვის (დადგენილ დროში) ოთხმა არქიტექტორმა წარადგინა საკონკურსო პროექტი. მათგან პირველი პრემია — 1500 მან. მიიღო პეტერბურგელმა არქიტექტორმა ე. ა. შრეტერმა (1839-1901 წ. წ.), რომელსაც თბილისის სამხედრო ტაძრის პროექტების კონკურსშიც პირველი პრემია ჰქონდა მიღებული. შრეტერის პროექტი რამდენჯერმე შეიცვალა. საბოლოო ვარიანტი 1880 წ. დასაწყისში დამტკიცდა.

1880 წ. 30 მაისს თბილისში თეატრის შენობის საძირკვლის ჩაყრის საზეიმო ცერემონიალი შედგა. ამის შესახებ გაზეთი „კავკასი“ იუწყებოდა, რომ ცერემონიალის დროს, რასაც ბევრი ხალხი ესწრებოდა, საძირკველში საზეიმოდ ჩადგეს პირველი ქვა და მეტალის ზოდი — მასზე ამოტივფრული სათანადო წარწერით.

1881 წლიდან დაფინანსების შემცირების გამო თეატრის მშენებლობის ტემპები საგრძნობლად დაეცა. დამაბრკოლებელი მიზეზები სხვაც ბევრი გამოჩნდა. არქიტექტორი შრეტერი მშენებლობას პეტერბურგიდან ხელმძღვანელობდა, რაც პრაქტიკულად ძნელი განსახორციელებელი იყო. ასეთი მდგომარეობა უფრო მეტად აფერხებდა ისედაც გაჭიანურებულ საქმეს. გარდა ამისა, მშენებლობას საჭირო მასალებით დროულად ვერ ამარაგებდნენ.



კერძოდ, ადგილობრივმა წარმოებამ ვერ უზრუნველყო მისი ავტონომია. მიუხედავად ამისა, 1884 წ. მაინც დასრულდა კედლების აყვანა. 1887 წ. თეატრის გადახურვა ნაწილობრივ და ფასადის მოპირკეთებამ დასრულდა და დაამთავრდა. სწორედ ეს თარიღი, 1887 წ., ამოტვიფრულია შენობის ფასადის ზედა ნაწილში.

1889-1892 წ. წ. მიმდინარე შიდა სამუშაოები თითქმის შეწყდა. ეს საკითხი გაუთავებლად იხილებოდა ქალაქის საბჭოს სხდომებზე. თეატრის მშენებლობის განახლებით დაინტერესებული იყვნენ არა მარტო ქართველი მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლები, არამედ რუსი მუსიკოსებიც. პ. ჩაიკოვსკი იპოლიტ-ივანოვისადმი მიწერილ წერილში თბილისის ოპერის თეატრის მშენებლობის მდგომარეობას კითხულობდა და მის შეფერხებაზე წუხდა.

1893 წლიდან მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა. 1895 წ. დასრულდა თეატრის თაღოვანი გადახურვა. 1896 წ. შიდა სამუშაოები მთლიანად დამთავრდა. მაშინდელი გაზეთები ხოტბას ასხამდნენ ახლად დამთავრებულ თბილისის თეატრის შენობას. განსაკუთრებით აქებდნენ ფასადის ცენტრალურ ნაწილს, რომელიც მთლიანად ქვაზე კვეთილ ჩუქურთმების ქარგაშია ჩასმული. (შენობის, როგორც არქიტექტურული ძეგლისა და ხელოვნების ნიმუშის დახასიათება მოცემული აქვს ავად. ვ. ბერიძეს).

განსაკუთრებით მდიდრულად გამოიყურებოდა ცენტრალური სადარბაზო შესასვლელი თავისი კიბეებით. საფეხურები იტალიური მარმარილოსაგან დამზადდეს, მოაჯირები — ქუთაისური მშვენიერი ხატოვანი მარმარილოთი. მნახველს ხიბლავდა ვარდისფერი ქვის ორი, მცირე სიდიდის, სვეტი, რომელიც იმეორებს შესასვლელი პორტიკის სვეტებს. სამაგიეროდ, მაყურებელთა დარბაზის შიდა გაფორმება გაცილებით ღარიბულად გამოიყურებოდა, რაც მშენებლობის პროცესში ფულადი სახსრების შემცირებამ გამოიწვია. პროექტით გათვალისწინებული ჩუქურთმების ნაცვლად დარბაზი ცივი მონაცრისფრო-მოცისფერო ტონის საღებავებით მოიხატა. ჭერი და ლოყები ამავე ფერის ნახევრად აბრეშუმის ქსოვილით იყო გადაკრული. მიუხედავად ამისა, მაყურებელთა დარბაზი თავისი ფორმითა და მოხერხებულობით დიდ მოწონებას იმსახურებდა. აქ საეარძლები და სკამები ისე იყო განლაგებული, რომ სცენა ყველა ადგილიდან კარგად ჩანდა. დარბაზს ნალისებური ფორმა მისცეს. მისი დაპროექტებისას არქიტექტორმა ნიმუშად გამოიყენა ბაირეიტის საოპერო თეატრი.\*

თეატრში სულ 1000 ადგილი იყო. აქედან პარტერსა და ამფითეატრში — 400, ზედა იარუსებზე — 200, დანარჩენი — ლოყებში ნაწილდებოდა, ლოყებში ვენური სკამები იდგა. პარტერსა და ამფითეატრში განლაგებული მშვენიერი საეარძლები ძვირფასი ხაყერდით იყო გადაკრული, რომლის ფერი დარბაზის მდარე მოხატულობას ნაკლებად შეეფერებოდა. საეარძლები და სკამები დამზადებული იყო პეტრაკოვსკის ვებერნიაში, „ძმები კონენი“ ფირმის ავეჯის ფაბრიკაში. საორკესტრო ნაწილში 50 მუსიკოსი ეტეოდა. დარბაზის კარგი აკუსტიკის შესახებ, გაზეთი „კავკაზი“ საგანგებოდ აღნიშნავდა. „ამ მზრივ თბილისის თეატრის მსგავსი სხვაგან არსად მოიპოვება, უკიდურეს შემთხვევაში, ჩვენთან რუსეთში“. „დარბაზს ამშვენებდა უზარმაზარი ჭილი, რომელიც ასობით ნათურისაგან შედგებოდა. თეატრის დანარჩენ ნაწილს



ანათებდა შედარებით მცირე ზომის ქალები და კანდელები. ელექტრო-განათება მოაწყო „სიმენსისა და ვალკეს“ ცნობილმა ფირმამ. თეატრს აღმშენებელი დენს აწვდიდა დინამო-მანქანები, რომელიც მოძრაობაში მოყავდა მანქანების ქლის მანქანას (75 და 55 ცხ. ძ.). ეს დანადგარი, მანუთით მუშაობდა და ნეონობის გარეთ იყო მოთავსებული.

თეატრს ჰქონდა საკმაოდ დიდი სცენა (17×8 კვ. საყ., სიმაღლე --- 8 საყ.) თავისი ექვსი კულისით. სცენის უკანა ნაწილი უკავშირდებოდა არიერ სცენას და ეზოს, რაც ცხენების შემოყვანისა და დიდი ზომის საგნების შემოტანის შესაძლებლობას იძლეოდა. სცენის ქვეშ მოწყობილი იყო ორი ტრიუმი, იატაკზე — რამდენიმე ჩასაშვები ორმო, რომელთა საშუალებით სპექტაკლის მიმდინარეობის დროს რამდენიმე ათეული კაცის შთანთქმა-ჩაგარდნა შეიძლებოდა. სცენა მოაწყო საიმპერატორო თეატრების ცნობილმა მემანქანემ და დეკორატორმა ვალკამ. მასვე შეუკვეთეს ფარდა და დეკორაციები 20 აქტისათვის. მაყურებელთა დარბაზის თავზე მოწყობილი იყო დიდი ზომის დეკორაციების გასაფორმებელი ვრცელი დარბაზი.

თეატრში ცენტრალური ვათობა იყო. მაყურებელთა დარბაზის ქვეშ თბებოდა ჰაერი, რომელსაც შემდეგ დაბერვის წესით დარბაზში უშვებდნენ თეატრს კარგი ვენტილაცია ჰქონდა. წესრიგში იყო ხანძარსაწინააღმდეგო წყლის ონკანები. გარდა ამისა, სათადარიგოდ, მუდმივად ინახებოდა 1000 ვედრო მოცულობის ორი აეზი წყალი.

შენობას ეკავა 20×22 კვმ. საყენი, წინა ფასადის სიმაღლე 10 საყ.-ზე მეტია. თეატრი ცენტრალურ ქუჩაზე ისე დგას, რომ მისი დანახვა მთლიანობაში გვერდებიდანაც შეიძლება. იგი ააგეს საკმაოდ კარგი და ამძლე მასალით, რისთვისაც გამოიყენეს ადგილობრივი თლილი ქვა, ქუთაისის კირქვა, ალგეთის ქვიშა-ქვა. შენობა თეთრი და ვარდისფერი თლილი ქვით მოაპირკეთეს, რომელიც ლამაზ ჰორიზონტალურ ხაზებს ქმნის. დარბაზის თაღოვანი გადახურვა რკინისაგან ვაკეთდა, სახურავი კი თუთიისაგან. მშენებლობა სულ 870000 მან. დაჯდა.

1954 წელს რეკონსტრუქციის დროს სახე უცვალეს ფოიესა და მაყურებელთა დარბაზის მორთულობას, თეატრის მთელი ხუროთმოძღვრული სტრუქტურა კი უცვლელი დარჩა.

1974-1977 წ. წ. რესტავრაციის დროს თეატრი მთლიანად რეკონსტრუირებულ იქნა, გარეგნულად თეატრმა დღემდე შეინარჩუნა თავდაპირველი სახე. ერთი საუკუნის ძეგლი, ჩვენი დედაქალაქის მშენებელი — ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი დღესაც ხიბლავს მნახველს თავისი განახლებული სიმშვენიერით და კვლავინდებურად დგას ხალხის სამსახურში.

\* 1876 წელს გაიხსნა ბაირაიტის (ბავარია) საოპერო თეატრი, რომელიც რ. ვაგნერის მუსიკალური დადგმებისათვის სავანგებოდ ააგეს.

ლიტერატურა: შ. კაშმაძე — თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, 1950; კარბელაშვილი, ს. კინწურაშვილი, ნ. ჯანბერიძე — თბილისის ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, 1958; ე. ბერიძე-თბილისის ხუროთმოძღვრება (1801-1917 წ.წ.), ტ. 2, 1965;

Г. Хуцишвили — Тбилиси через века и годы; 1981, газ. «Кавказ», 1876, № 55, 1880, № 147, 1896, № 282, 287,



„რუ“ და „რუსხმული“ XVII-XVIII სს ქართლის ეთნოგრაფიულ  
ყოფაში

ცნობილია, რომ შორწყვა განვითარებული მემინდვრობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. შიდა და ქვემო ქართლის ველები ოდითგანვე ირწყვებოდა.

არქეოლოგიური მონაცემებით ირკვევა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. V—IV სს. ათასწლეულებში, უკვე არსებობდა მარტივი სარწყავი რუები, ხოლო თავდაპირველად რწყვა ხევისწყლებით ხორციელდებოდა. მიუხედავად ამისა, აღრეფეოდალურ საქართველოში სარწყავი სისტემების ნაკლებობა შეინიშნება და მხოლოდ თამარის ეპოქაში, საქართველოს ცენტრალიზირებულმა სამეფომ შესძლო რამდენიმე არხის გაყვანა. ვახუშტის თქმით: „~~ესის~~ მთის სამხრეთის მინდორი ნიჭოხამდე და ლიახვით დვანის — წყლამდე ირწყვის ორის ლიახვის რუთი, თამარ მეფის ქმნულითა და ნაყოფიერებენ დაბნები ყოვლითავე მრავალნი“.

სოფ. რუისში მცხოვრები 92 წლის დ. ეგნატაშვილის გადმოცემით (ჩაწერილი 1969 წ.) „წინათ დიდი წყალი იყო. თამარ მეფის მიერ გამოყვანილი იყო ორი რუ — ერთი ურბნისამდე ჩადიოდა, მეორე რუისიდან ბენისში და სალოლაშენში მიდიოდა. ეს რუები განიერები იყო. მერუეს დიდი ბარის ტარი უნდა გაეკეთებინა, რომ დაერქო ეს ბარის ტარი, დაყრდნობოდა და ისე გადმომხტარიყო მშრალზე, ე. ი. რუს ერთი ნაპირიდან მეორეზე. ესე რომ რუ სამი მეტრი სიგანისა იქნებოდა. ერთი რუ ეხლაც არის რუისში, მხოლოდ იქ წყალი პერიოდულად მოდის, რადგან ზაფხულისა და გაზაფხულის თვეებში ამ წყალს იყენებს ყველა სოფელი, რომელსაც ხელი მიუწვდება დაწყებული ლიახვის მდინარიდან“.

იმის შემდეგ, რაც საქართველო ცალკეულ სამეფოებად დაქუცმაცდა, მუდმივმა თავდასხმებმა და ეკონომიკურმა სიძნელეებმა სარწყავი არხების გაყვანა-მოწესრიგების საქმეც შეასუსტა. მოგვიანებით XVIII საუკუნეში ვახტანგ VI ქართლის მეფემ შესძლო მისი ზელახალი ალორძინება, რადგან მას სარწყავი არხების საკითხი ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების წყაროდ მიაჩნდა. მისი აზრით: „წყალი ასრე არის, რომე როცა ხელშეიფე რუს გაყვანას მოინდომებს, ქვეყნის შენობისა და პურის მოსავლისათვის იქმს, რომე კოდის პური არ დააკლდესო“. (დასტურლამალი, ტფილისი 1886, გვ. 170).

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით „რუ-ეს არს: წყალ-სარწყავად გადებული“. (სიტყვის კონა). ნ. ჩუბინაშვილი „რუ“-ს „ხელოვნებით გატანილ ნაკადულს“ უწოდებს. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონით — „რუ“ — სარწყავად გაყვანილი არხია.

ტერმინი „რუ“ ქართული წარმოშობისა არ უნდა იყოს, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს ის სპარსულიდან ნასესხებად უნდა ჩაითვალოს.

„რუ“ საქართველოში მცირე მდინარის ზოგად სახელადაც ჩანს, ამის მა-



გალითად შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში დამოწმებული დასახელებები: რუ წითელი — ჩოხატაურის რაიონში, რუ მახარაძის რაიონში, რუა ქუთაისის მიდამოებში, სოფელი სიჭყვიანეთში, რუ თავე ქართლსა და სამცხეში, რუისი ქართლში და სხვა. ამაზე მეტყველებს ხალხური ლექსი: „ჩუხჩუხით ჩამორბოდა რუ დაბალი კორდის ძირს და მის კიდეს გაბადრულს ყვაეილთ გროვას ბანდა პირს“.

„რუ“-ს უნარი „წყაროს“ ანუ მცირე მდინარის ტერმინად შენაცვლებისა იმის მაჩვენებელი შეიძლება იყოს, აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი, რომ რწყვა აღმოსავლეთ საქართველოში წყაროს წყლით ანუ ხევის სათავედან მომდინარე წყაროთი ხდებოდა.

„რუ“-ს შემოსვლამდე მდინარე წყალის („მდინარის“) და სარწყავი წყალის, აგრეთვე წისქვილის წყლის საერთო სახელი იყო „წყალი“, რომელიც ნაკადის თუ ნაკადულის საშუალებით ნაკადულებად შეპყვდით მოსარწყავ „მიწებში“.

ნ. ბერძენიშვილის მიხედვით XVIII საუკუნეში „წყარო“-ს სარწყავი წყლის ანუ „რუ“-ს მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენს მიერ მიკვლეულია საბუთი, კერძოდ, 1669 წ. წიგნი მიცემული არჩილ მეფის მიერ. წმ. ნინოს ტაძრისადმი, სადაც აღნიშნულია: „აქ... ჩუენ, ხელმწიფემან მეფემან პატრონმან არჩილ ესე წიგნი ამისად ნიშნად მოგართვით თქუენ, ღვთის სიტყუისა მსახურთა მესაგარესა და ანდრისა ქადაგებისა წარმმართველსა, ქართველთ: განმანათლებელსა მოციქულსა წმინდას ნინოს და ტაძრისა თქუენისა საქეთმპყრობელსა ბოდბელ მთავარეპისკოპოსს პატრონს მათეოზს: — ასრე და ამა პირსა ზედან, რომე ჩუენის ვეზირის რუსი კაცები ჩამოსულიყვნენ და თქუენს მამულში ჩელთუქი დაეთესათ...“ ეს საბუთი ჩვენი აზრით, იმის მაჩვენებელია, რომ ტერმინი „რუ“ XVII საუკუნის 60-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოს ყოფაში უკვე დამკვიდრებულია.

როგორც უკვე აღინიშნა მემინდერობის განვითარებისათვის მორწყვას საკმაოდ დიდი როლი ენიჭება. ასეთივე მნიშვნელობა ჰქონია მას მევენახეობისათვის. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სოფ. ატენი, სადაც მევენახეობა — მეურნეობის წამყვანი დარგი იყო, რომელიც ტანადან გამოყვანილი რუს მეშვეობით ირწყვებოდა. აქ რომ მიწა ნოციერია, ამას გვაფიქრებინებს ატენის სიონის ერთ-ერთი წარწერის ტექსტიც, სადაც აღნიშნულია: „...მეფეთა მეფემან ბაგრატ უბრძანეს მიწასა მათსა მირიანს — პატრონსა ჩემსა, სეფესა ზუარსა შიდა ქალაქისა შენებაი. გაუმარჯვა და ბედმან მეფეთ-მეფობასა მათისამან. ვითა სწაღდა მეფობასა მათსა ეგრე ავაშენეთ დარბაზი და ქალაქი“.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ განვითარებულ შუა საუკუნეებში ზუარე-ზუარი აღნიშნავდა დიდ, საბატონო ვენახს, მაშინ მოცემული ამონაწერი ატენის სიონის წარწერის ტექსტიდან ადასტურებს, რომ ატენში მეურნეობის წამყვან დარგს მევენახეობა წარმოადგენდა, თუმცა ამ ციტატასთან დაკავშირებით არის სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც საუკეთესოდ შეგონიათ, რომ ამ კონტექსტში „ზუარე“ ვენახს ნიშნავდა, აქ „სამეფო ზუარი“ — სამეფო მიწას, საუკეთესოს უნდა აღნიშნავდეს-ო.

გორის რაიონის ძველი სარწყავი არხები გაყვანილი იყო მდინარე დიდი



და პატარა ლიახვიდან. დიდი ლიახვიდან გაყვანილი ძველი არხებიდან აღ-  
ნიშნავია, როგორც ზევითაც ითქვა, ურბნისისა და ხალთვისის არხები. ურბნისის  
ლესაც ვახუშტი თამარ მეფის დროს გაყვანილად მიიჩნევს, ხოლო ხალთვისის  
ხალთვისის რუ ვახტანგ VI განუახლებია. ურბნისის რუს შესახებ ვახტანგ  
VI გარკვეული დადგენილებაც განუწესებია თუ რომელმა სოფელმა სა-  
დამდე უნდა გამოიღოს სარუე არხი.

ვახუშტი აღნიშნავს, რომ შიოსუბნის ჩრდილოთ არის „ქსოვრისი. მუნ-  
არს აღებული რუ, და რწყავს ორთა ამით მთათა შორის — თა მინდორთა, სარ-  
კინეთისა და ციხე-ბოდავის მთათა შორისა და ნაყოფიერებს მით ფრიად“.  
სწორედ ამ ქსოვრისიდან აღებულ რუს გულისხმობს ნ. ბერძენიშვილი, რო-  
დესაც აღნიშნავს, რომ მუხრანის ველზე მან მორწყვის სხვა საფეხურიც და-  
ადასტურა. ეს არის რუსხმელის ტექნიკა. ალბათ იგივეს გულისხმობს ი. გი-  
ულდენშტედტი, როდესაც მიუთითებს, რომ ქსოვრისიდან მუხრანამდე გაშ-  
ლილი დაბლობის (ველის), რომელიც გამოყენებული იყო სახნავად, მორწყვაც  
ხდებოდა ქსიდან გამოყვანილი არხების მეშვეობით.

მუხრანის რუსხმელი გრანდიოზული ნაგებობაა. ეს არის ზელოვნურად  
შეზენილი მიწა, რომელზედაც გადატარებულია რუს კალაპოტი. რუსხმე-  
ლის სიმაღლე ექვს მეტრამდე აღწევს და უზარმაზარ მანძილზეა გაჭიმული. იგი  
ამ ველის ტაფობის ადგილის გადალახვის საშუალებას იძლევა და ორ შემალ-  
ლებულ ველს (ციხე-ბოდავისა და კვერნაქისის) ერთმანეთთან აკავშირებს.

საბას განმარტებით რუსხმული არის „მაღლა შეშენებული რუ“. გ. ჯა-  
ლაბაძის განმარტება ასეთია: „ახალ გატანილ რუებს ხშირად ზეცების გადაკვეთა  
უხდებოდა. აქ გამოყენებული იყო ბოძებზე შედგმული ღარი, რომელსაც  
„რუსხმულას“ უწოდებდნენ.

რადგან ეს რუსხმული XVII-XVIII საუკუნეებში უკვე არსებულა, სა-  
ფიქრებელია, რომ იგი უფრო ადრეც ყოფილიყო ეთნოგრაფიულ ყოფაში შე-  
მოსული.

დიდი არხების მშენებლობა თავის მხრივ ფეოდალური საქართველოს  
აღმავლობის მანქნებელი და სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების პი-  
რობაა.

**ბამოყენებული ლიტერატურა**

1. ვახუშტი ბერატონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.
2. ვახტანგ VI, დასტურლამალი, ტფილისი, 1886.
3. ი. გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, ნაწ. I, თბ., 1962.
4. დეოტრაფიელი აღწერა საქართველოსა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ, მის ნამუ-  
ვილზე დაბეჭდილი აკადემიკოს ბროსტისაგან, 1842 სანკტ-პეტერბურგი.
5. სელხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, 1949.
6. ზებინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1960.
7. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, თბ., 1960.
8. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I წიგნი, თბ., 1964.
9. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.
10. Т. Чубинашвили, Л. Небридзе, К. Квицинадзе, Памятники V—IV тысяч-  
летия до н. э. в южной Грузии; Тезисы докладов... 1966.
11. გ. ჯალაბაძე, მემინდერეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1986.
12. ს. კანტურიშვილი, უფა და კულტურის V-X საუკუნეების საქართველოში, თბ., 1984.



უპველსი ნასახლარის რეკონსტრუქციისათვის

(საკითხის დასმის წესით)

კავთისხევის მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლის ციხია გორას სულ ქვედა ფენაში გათხრილია ექვსი მრგვალი მოხაზულობის (d—1,5—1,8 მ) ორმო (H—0,5-9,7 მ), რომლებიც ერთმანეთისაგან 2-3 მეტრით არიან დაცილებული.

ამ ძეგლზე და საერთოდ აღრებრინჯაოს ხანის სინქრონულ ნამოსახლარებზე, არცთუ იშვიათად ჩნდება მსგავსი მოხაზულობის ორმოები. არქეოლოგთა ნაწილი მათ სამეურნეო, სარიტუალო, სანაგვე და სხვა დანიშნულებას მიაკუთვნებს.

ციხია გორაზე გამოვლენილ ორმოებს განმარხებული ჰუმუსი აქვთ ჩაქრილი და ძირით კონგლომერატს ეხებიან. ჭრილში ნახევარკონუსური მოხაზულობა აქვთ (სურ. 2) ორმოს გარშემო, მიწაში ჩანს სარის ფოსოები, რომლებიც სიმეტრიულადაა განლაგებული (4-6 ფოსო). ორმოს ძირი მოგებულაა საგანგებოდ შერჩეული ბრტყელი ქვებით. (რიყის, ქვიშაქვა, ხელსაფქვეის გატეხილი ქვედა ქვა).


№ 5 ორმოს სამხრეთ კედელთან მიდებულაა მოგრძო, მრგვალგანიკვეთიანი რიყის ქვა (ციბე — ზღურბლი). ქვებზე მრავლადაა დანაცრებული რბილი საფარი. როგორც ჩანს მათზე თივისმაგვარი მასა ყოფილა დაფენილი.

ორმოებში გამოვლინდა კაყისა და ოფსიდიანის ანატეც-ანამტერევები, კაყის ნუკლეუსის ნატეხი, ხელით ნაძერწი, მოშაო-ჩალისფერი უხემკეციანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ყველა ორმოში გამოვლინდა მსხვილფეხა და წვრილფეხა ცხოველთა ძვლები. № 4 ორმოში, აღმოსავლეთ კედელთან დაფიქსირდა თიხისაგან უხეშად გამოძერწილი კეციისებური ნივთი (ყრა), რომელიც ნახშირითა და ნაცრით იყო სავეს, მასში და მის გარშემო ცხოველთა დამწვარი ძვლები ეყარა.

ექვს გარეშეა, რომ ციხია გორაზე გამოვლენილი ორმოები სადგომ-საცხოვრისის წარმოადგენენ. გვეგმაში აქვთ მრგვალი და განიკვეთში ნახევარადკონუსის მოხაზულობა (ასეთი გვეგმარება ტიპიურია აღრებრინჯაოს ხანის ნასახლარისათვის). ქონდათ სარის კონსტრუქციული კედლები და გადახურვა, რომელიც შეფუთული უნდა ყოფილიყო ლელით. (ციხია გორას ჩაუდის შავწყალა, რომლის მარჯვენა სანაპირო ტენიან-ჭაობიანია და ლელიანის გაუვალი ტევრითაა შემოსილი).


ნასახლარებს შესავლელი ქონიათ სამხრეთით-მზისკენ. (ციბე ზღურბლი). იატაკი მოგებულაა საგანგებოდ შერჩეული ბრტყელი ქვებით, რომლებიც იზოლატორის წარმოადგენდნენ ტენიან მიწასა და საწოლ თივისებურ მასას შორის.

სადგომებში საცეცხლე ორმოები ან კერიები არ დასტურდება. ცხადია საცხოვრისის მცირე მოცულობა (2-3 კვ. მ.) ამის საშუალებას არ იძლეოდა. რაც შეეხება № 4 ორმოში გამოვლენილ კეციისმაგვარ ნივთს, რომელიც ნაც-



რითა და ნახშირით იყო სავსე. გარედან, — საერთო ცეცხლიდან (კოკონი), ავადმყოფისა თუ მცირეწლოვანისათვის, ღადარის შემოსატანი უნდა ყოფილიყო. მის გარშემო გამოვლენილი ცხოველთა დამწვარი ძვლები, უფრო ანტისანიტარიით უნდა აიხსნას, ვიდრე რელიგიური წეს-ჩვეულებით.

სადაოა თუ როგორი მოხაზულობა ჰქონდა ზის კონსტრუქციულ გადახურვას; კონუსური (სურ. 3,6) სწორკვერდა კონუსური (სურ. 4,7), თუ მომრგვალებული (სურ. 5,8). მათი შესატყვისი საცხოვრისები დასტურდება კავ-



კასიისა და ძველი მსოფლიოს არქეოლოგიურ თუ ეთნოგრაფიულ ყოფაში (სურ. 11-23). საცხოვრებელს, თიხის ჭურჭელსა თუ სხვა არქეოლოგიურ ნივთთან შედარებით, ფუნქციონირების ხანგრძლივი ტრადიციები ვაჩინია და ამდენად სივრცეში გადასანაცვლებლად მას დიდი დროც ჰქონდა.

აქვე დავძენთ, რომ ტაბულეზე მოტანილი პარალელების ნაწილი შემთხვევითია. ნიშანდობლივია ის, რომ ადამიანი მიწათმოქმედების საწყის ეტაპზე სავარგულების სიახლოვეს პრიმიტიულ სადგომებს აგებდა მისთვის ხელმისაწვდომი საამშენებლო მასალების გამოყენებით (ამ შემთხვევაში



სარი, ლელი), ასევე სადგომის გეგმარებაც არ უნდა ყოფილიყო რთული მრგვალი გეგმარების სადგომი კი როგორც ცნობილია უძველესი შემორჩა (იხ. სურ.).

ციხია გორაზე გამოვლენილი, ზემოთ განხილული მრგვალი მოხაზულობის, კონუსურგანივკეთიანი საცხოვრისები ნაწილობრივ განფენილი იყო ადრებრინჯაოს ხანის კულტურული ფენის ქვეშ, რომელშიც გამოვლინდა თიხისაგან გამოქროწილი და ჩალისფრად გამომწვარი, ოთხფეხა ცხოველის ძალზე სტილიზებული რამოდენიმე ქანდაკება. ერთ მათგანს ზურგის მთელ სიგრძეზე. ორსავე მხარეს წყვილი — გრძივი ზოლი გასდევს (მაჩვი, ტახი?) სურ. 10. ანალოგიური ნივთი აღმოჩენილია მრავალფენიანი ნამოსახლარის ქვაცხელების მხოლოდ სულ ქვედა C<sub>1</sub> ფენაში (7 ეგზემპლარი), რომელიც მტკვარ-არაქსის ე. წ. ენეოლითური კულტურის წრეს მიეკუთვნება და ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახევრით თარიღდება (ეს ნივთები იქ სადგრებად არის მიჩნეული (სურ. 9).

ამრიგად, ზემოთ განხილული სადგომები რამდენადმე ადრეულია, ხოლო მშენებლობის ტექნიკის პრიმიტიულობით შესაძლოა წინ უსწრებდეს იმირის გორას და მისი სინქრონული არქეოლოგიური ძეგლების ნამოსახლარებს, რომლებიც ძვ. წ. V-IV ათასწლეულით თარიღდება (სურ. 14).

დასასრულ ციხია გორაზე გამოვლენილი საცხოვრისები ქობ-მიწურის ტიპის საწოლს წარმოადგენდა. (სურ. 3. 6). განეკუთვნებოდა 2-3 ადამიანის თავშესაფარს, პრიმიტიული საზოგადოების ძირითადი საოჯახო თუ სამეურნეო საქმიანობა კი ღია ცის ქვეშ, საერთო კოცონთან მიმდინარებოდა.

### სურათების აღწერილობა

1. ციხია—გორას ძირა ფენის ნამოსახლარის გეგმა.
2. ნამოსახლარის კრილი.
3. 4, 5, 6, 7, 8 ნახახლარის რეკონსტრუქციის ვარიანტები.
9. ქვაცხელები. ცხოველის იმიტირებული ქანდაკება C<sub>1</sub> ფენა.
10. ციხია—გორა. ცხოველის იმიტირებული გამოსახულება, ძირა ფენა.
11. ქვის სამარხი, ნოვისვიზობდნაიას უორდანი. ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრული.
12. წახნაგებიანი ფაცხა, სამეგრელო, არქანჯელო ლამბერტის მიხედვით.
13. საბლის მოდელი (ურნა), იტალია ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანები.
14. იმირის გორა, ნამოსახლარი (რეკონსტრუქცია) ძვ. წ. V-IV ათასწლეული.
15. საცხოვრებელი სახლი, აფრიკა.
16. ალაჩოვი. თუშეთი.
17. ნენეების საცხოვრებელი — ჩუმი. ციშბირი.
18. ინდიელების საცხოვრისი.
19. საცხოვრებლის რეკონსტრუქცია. ინგლისი, ადრეკინის ხანა.
20. ფაცხა, დასავლეთ საქართველო.
21. სადგომი, მექსიკა.
22. საცხოვრისი, აფრიკა.
23. ნამოსახლარის რეკონსტრუქცია, ტაჩიკეთი. IV-III ათასწლეული.



ისტორიული ძეგლების და სხვა კულტურულ ღირებულებათა შენარჩუნებისათვის ზრუნვა მკაცრად ჩამოყალიბებული სსრ კავშირის კონსტიტუციაში, სსრ კავშირის უმაღლესი სახელმწიფო მინისტრის სახელმწიფო კანონში, პარტიისა და მოაზრობის სხვა დოკუმენტებში. დაისახა მნიშვნელოვანი ღონისძიებები რესპუბლიკაში ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების შესწავლის, მოვლა პატრონობისა და გამოყენებისათვის. გაიზარდა კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების შესაძლებლობანი და მოვალეობანი, განმტკიცდა ფინანსური ბაზა, გაჩაღდა მასობრივ-პროპაგანდისტული მუშაობა, ბევრი, რამ გაკეთდა ძეგლების გამოვლენის, შესწავლისა და დაცვისათვის.

ამ მიმართულებით შეტად სასარგებლო საქმეს აკეთებს საზოგადოების ზუგდიდის რაიონული ორგანიზაცია, რომელმაც თავისი არსებობის მოკლე პერიოდში გამოავლინა მრავალი ძეგლი, უზრუნველყო მათი მეცნიერული შესწავლა, დაცვა, მოვლა პატრონობაში მისაბლეთის ფართო მასების ჩაბმა, დღევანდელ მოთხოვნათა დონეზე.

ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე მრავალი ათეული ძეგლი, ციხესიმაგრე, ნახაბლარი, ღირსშესანიშნავი ადგილი, ობელისკები და მემორიალური დაფები შემორჩენილი, რომლებიც დაღადებენ ჩვენი რაიონის მშრომელთა გმირულ ბრძოლებზე, მათს სახელოვან წარსულზე, რუსი, ქართველი და აფხაზი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობაზე, სამშობლოსათვის თავდადებებსა და გმირობაზე მოგვითხრობს სოფელ კოკში, ისტორიულ ადგილ „ნალიშაზე“ აღმართული ობელისკი, რომელიც აგებულია 1913 წელს, თურქებთან უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულ გმირთა უკვდავსაყოფად.

უკანასკნელ წლებში ქართველ არქეოლოგთა მიერ ჩატარებული შეტად საინტერესო მეცნიერული კვლევის შედეგად მრავალი უნიკალური ძეგლია გამოვლენილი რაიონში. ამ მხრივ უზრუნველდება სოფ. ფრეგატაში აღმოჩენილი „ნაოსახლარები“ სამარხები, დიხაუძეძეები, რომლებიც ძვ. წ. VII-VI სს. მიეკუთვნებიან.

უკანასკნელ ხანს ბევრი გაკეთდა ძეგლების რესტავრაციისა და შენარჩუნებისათვის, კერძოდ, 1988 წელს დაიწყო რუხის ციხის და ცაიხის გუმბათიანი ეკლესიის სარესტავრაციო

სამუშაოები, 1988 წელს გადახურულ იქნა კორცხელის გვიანი შუასაუკუნეების გუმბათიანი ეკლესია, მიმდინარე წელს გეგმაში შეტანილია ჭაქვიჩის ციხის სარესტავრაციო სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა.

გაიზარდა მისახლეობის ინტერესი ძეგლების მოვლა-პატრონობის საქმეში. რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით რაიონში ყველა ძეგლზე, ციხესიმაგრეზე, ისტორიულ ადგილზე მიმარგებულია შეფო ორგანიზაციები.

შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს ჩხორის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა, ტყაიას კლმურნეობის გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ, მათი თაოსნობით გადახურულ და შერემონტებულ იქნა XIX ს. ძეგლი — ტყაიას ციხესია, რომელიც ინტერესდა.

კიეს სასოფლო საბჭომ, კლმურნეობის გამგეობამ და სკოლამ შეუშოა აიღეს ისტორიული ადგილ „ნალიშაზე“.

შეფო ორგანიზაციებმა ჯინაჭვარის სასოფლო საბჭომ, კლმურნეობამ და ორივე სასოფლო სკოლამ გარკვეული მუშაობა გასწიეს „ჭაქვიჩის“ ციხესიმაგრის გადასარჩენად. მის ირგვლივ ტერიტორიაზე დარჩულ იქნა ათასობით ძირი აკაცია, რცხილა და სხვა მცენარეები, რითაც შეწყდა ფრონული მოვლენები და ციხის დაშლის პროცესი. ვასლუფთავე ციხესიმაგრის ეზო, შემოიარა, გაკეთდა სპეციალური დაფა. ამ საშვლიშვილო საქმეში თავისი წვლილი უდევს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციას, რომელმაც მოათავსა კრიტიკული წერილი — „გადავარჩინოთ ჭაქვიჩა“, სამართლიანმა კრიტიკამ შედეგი მოგვცა.

ანალოგიურად, რუხის, ცაიხის, კორცხელის და სხვა ორგანიზაციები ხშირად აწეობენ მათ ტერიტორიაზე განლაგებულ ძეგლებზე შაბათობებს, ასრულებენ მრავალ სამუშაოს.

საზოგადოების წევრების ინიციატივით და აქტიური მონაწილეობით ბევრა სასარგებლო საქმე გაკეთდა. მრავალი არქეოლოგიური და ისტორიული ხასიათის ნივთი გამოვლინდა და ჩაბარდა სათანადო ორგანიზაციებს. ზუგდიდის სახელმწიფო ქსტორიულ ეთნოგრაფიულ მუზეუმს მრავალი ექსპონატი შემატეს ოქტომბრის, რუხის, ცაიხის, ჭიათურის, ნარაჯენის და სხვა სკოლების მოსწავლეებმა.

ჩვენ გვყავს ძეგლის ნაშვლიო მეგობრები,



რომელთა შორის შეიძლება დავახაზოთ ჯი-  
ხაშვიანის კოლმურწილობის პარტიული კომიტე-  
ტის მდივანი რევაზ გაბეჩავა, ერგების კლუბის  
გამგებ ბონდო მამფორია, ზუნების ძველების  
დაცვის ზონალური ინსპექციის უფროსი, სოც.  
შრომის გმირი, მამია დოჩია, პედაგოგები რაი-  
სა შამუგია და ვალენტა ცერცვაძე, სწორედ  
მათი თაოსნობით შეიქმნა საზოგადოებრივ საწ-  
ეხებებზე მუშეუმები ოქტომბრისა და ცაიშის  
სამუშაო სკოლებში.

უკანასკნელ წლებში საგრძობლად გაუმჯო-  
ბება მოხსახლებიანი ლექციური პროპაგანდა-  
საზოგადოება „სოდინს“ კულტურულ საგანმა-  
ნათლებლო დაწესებულებების, ისტორიისა და  
კულტურის ძველთა დაცვის საზოგადოების ძა-  
ლებით იყოთება ლექციები, მოხსენებები, ეწუო-  
ბა საუბრები, კითხვა პასუხებისა და თემატიკის  
სადამოცებო.

რაიონული საბჭოს მიერ ეწეობა ესკურსიები,  
როგორც რაიონის ისე მის ფარგლებზე ვარტო  
ვანლაგებულ ძველების დამაჯადიერების მიზ-  
ნით.

როგორც აღინიშნა, რაიონში ბევრი საქმე  
ეკულება ძველების შენარჩუნებისა და დაცვი-  
სათვის, მაგრამ სწორი არ იქნებოდა, რომ არ  
გვეთქვა იმ ნაკლოვან მხარეებზე, რომელიც ზენ  
მეშრომის ახლავს. მან, კახათში საშედანიოს  
უბანში არსებული ციხე სიმარტე, მოვლელო-  
ბით ძლიერ დაზიანდა. კოქში ძველ რუქაზე ზიქ-  
სირებული კადრიის ეკლესიის მხოლოდ ნანგრე-  
ვები დარჩა. ანალოგური ბედი ეწია გვინი შუა-  
საუკუნეების კვირლოს ციხეს ნარხანში, უჩა-  
ჩონის ციხეს — ახალსოფელში, ჭუმათის ეკლეს-  
იის ურთაში, ცაიშის კოშკსაც ჭეგეთას, ოდი-  
